



ერთიანობა მრავალფეროვნებაში - საქართველოს საკვები მცენარეები და სოკოები

ბუსმან რაინერ ვ., პანიაგუა სამბრანა ნარელ ი., ურ რაჰმან ინაიატ, კიკვიძე ზაალ, სიხარულიძე შალვა, ქიქოძე დავით, ჭელიძე დავით, ხუციშვილი მანანა, ბაცაცაშვილი ქეთევან

Correspondence

ბუსმან რაინერ ვ.¹; პანიაგუა სამბრანა ნარელ ი.²; ურ რაჰმან ინაიატ³; კიკვიძე ზაალ¹; სიხარულიძე შალვა¹; ქიქოძე დავით¹; ჭელიძე დავით¹; ხუციშვილი მანანა¹; ბაცაცაშვილი ქეთევან¹

¹ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის ეთნობოტანიკის განყოფილება და ბაკურინის ალპური ბოტანიკური ბაღი საქართველო, თბილისი 0105, ბოტანიკური ქ. N1

² Herbario Nacional de Bolivia, Instituto de Ecología-UMSA, Campus Universitario, Cota Cota Calle 27, La Paz, Bolivia.

³Department of Botany, Hazara University, Mansehra 21300, KP, Pakistan.

*Corresponding Author: rainer.bussmann@iliauni.edu.ge

Ethnobotany Research and Applications 23:3 (2022)

Repatriation of Ethnobotanical Studies

რეზიუმე

Bussmann, RW; Paniagua Zambrana, NY; Ur Rahman, I; Kikvidze, Z; Sikharulidze, S; Kikodze, D; Tchelidze, D; Khutsishvili, M; Batsatsashvili, K (2021). Unity in diversity - Food plants and fungi of Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine* 17(72). doi: 10.1186/s13002-021-00490-9

შესავალი: საქართველო ეკუთვნის კავკასიის ბიომრავალფეროვნების კერას, სადაც ადამიანების მიერ სამიწათმოქმედო მცენარეების გამოყენება სულ ცოტა 6000 წელს ითვლის. ბოლო წლებში ამ რეგიონიდან ბევრი შრომა გამოქვეყნდა. ამ სტატიაში ჩვენ ვაანალიზებთ საკვებ მცენარეებს საქართველოს ტერიტორიის იმ 80% პროცენტთან, რომელიც რუსულ საოკუპაციო ჯარებს არ უკავიათ. ჩვენი ჰიპოთეზით: (1) მცენარეების გამოყენების ხანგრძლივი ტრადიციისა და საბჭოთა წლებში ქვეყნის იზოლაციის გამო, როგორც ბალბოსტანში მოყვანილი, ისე ტყეში შეგროვილი მცენარეების გამოყენება უფრო გამოხატული იქნებოდა საქართველოში, ვიდრე მის გარეთ ამ რეგიონში, (2) მცენარეებისა და მათი გამოყენების ცოდნა ფართოდ და თანაბრად იქნებოდა გავრცელებული საქართველოს უდიდეს ნაწილში და (3) მიუხედავად მცენარეების ფართო გამოყენებისა, მაინც იქნებოდა ამ ცოდნის კარგის შემთხვევები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კლიმატურად ხელსაყრელ სამიწათმოქმედო რეგიონებში.

მეთოდები: 2013-2019 წწ. გამოვკითხეთ 380 რესპონდენტი საქართველოს ყველა მხარეში, გარდა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ოკუპირებული ტერიტორიებისა და ჩავიწერეთ 19800-ზე მეტი საკვები მცენარის გამოყენება. ყველა გამოკითხვა ჩატარდა მონაწილეთა სახლსა და ბაღ-ბოსტნებში ქართულსა და მის

დიალექტებზე (იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, თუშური, ხევსურული, ფშაური, კახური), ასევე სხვა ქართველურ ენებსა (სვანური, მეგრული) და უმცირესობათა ენებზე (ოსური, უდიური, აზერბაიჯანული, სომხური, ბერძნული).

შედეგები: სამხარეო დაყოფა უპირველესად საქართველოს ისტორიული პროვინციების მიხედვით ხდებოდა, რაც ხშირად ახლანდელ ადმინისტრაციულ საზღვრებს ემთხვეოდა. ტაქსონების ჯამურმა რაოდენობამ 527 შეადგინა, რომელთა უმრავლესობა სახეობამდე იქნა გარკვეული. ტაქსონომიურად, სხვაობა საკვებ მცენარეთა ორ ჯგუფს - ბალბოსტნისა და ველურის - მკაფიოდ გამოიხატა ოჯახების დონეზეც კი. ბალბოსტნის მცენარეთა ოჯახების სიმდიდრე იყო 65, ხოლო ველურისა 97, თანაც სხვაობა მაღალმნიშვნელოვანი იყო. სხვა ინდექსებიც ცალსახად მიუთითებდნენ ველური მცენარეების ოჯახების გაცილებით უფრო მრავალფეროვან შემადგენლობას ბალბოსტნის მცენარეებთან შედარებით, იმდენად, რამდენადაც ყველა გამოყენებულმა ინდექსმა მაღალმნიშვნელოვანი სხვაობა აჩვენა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფხალი და მწნილები. ზოგიერთი მცენარე შხამიანია დიდი რაოდენობით და, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, საკვებად მომზადებას სიფრთხილე სჭირდება. ავტორებმა ცალსახად გადაწყვიტეს ასეთი რეცეპტების არ გამოქვეყნება, რადგან ბევრი ამ მცენარეთაგანი ფართოდაა გავრცელებული, ხოლო ნაერთების შემადგენლობა და, შესაძლოა, მათი ტოქსიკური ეფექტი ცვლადობს გავრცელების არეალში. ამიტომ მეთოდი, რომელიც ეფექტურია კავკასიაში, შეიძლება არ გამოდგეს ამ რეგიონის გარეთ.

დასკვნები: ველურად მზარდი მცენარეების შემთხვევაში, მხარეებს შორის სხვაობები უფრო მკაფიოდ ჩანს. მეზობელი მხარეები ერთად ჯგუფდებიან (ქვემო რაჭა, ზემო რაჭა და ზემო იმერეთი; სამეგრელო, გურია, აჭარა, ლეჩხუმი, ზემო და ქვემო სვანეთი; მესხეთი, ჯავახეთი, ქვემო ქართლი, მთიულეთი, კახეთი, ხევსურეთი, თუშეთი). ისევე, როგორც ბალბოსტნის მცენარეების შემთხვევაში, ჩაწერილი ველური საკვები სახეობების მრავალფეროვნება ძლიერ ცვალებადობდა. ამ ცვალებადობაში როლს ალბათ ჰავის სიმკაცრე და ველური მცენარეების გამოყენების ტრადიციები თამაშობენ. მთლიანობაში, მცენარეების ცოდნა ფართოდაა გავრცელებული და ნარჩუნდება მთელს საქართველოში.

გასაღები სიტყვები: *საქართველო, კავკასია, ტრადიციული ცოდნა, ცოდნის კარგვა, საკვები მცენარეები, კონსერვაცია*

შესავალი

საქართველო მდებარეობს ჩრდილოეთის 41°-44° განედებსა და აღმოსავლეთის 40°-47° გრძედებს შორის, მისი ფართობია 69700 კმ², რომლის 20% ამჟამად უკავია რუსეთის საოკუპაციო ჯარებს (ნახ. 1). საქართველო პოლიტიკურად ასოცირებულია ევროკავშირთან და მონაწილეობს ევროპის განვითარებისა და თანამშრომლობის ყველა მთავარ პროგრამაში. საქართველო შეიძლება განისაზღვროს, როგორც კონტინენტაშორისი ქვეყანა აზიისა და ევროპის შესაყარზე, რომლის დიდი ნაწილი აზიაში, ხოლო მცირე, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაწილი (ხევი, პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი) ევროპაში მდებარეობს (Bussmann *et al.* 2014).

საქართველოს კავკასიონი აღიმართა გვიან ოლიგოცენში და ისეთივე სტრუქტურა ახასიათებს, როგორც ევროპის ახალგაზრდა მთებს. დიდი კავკასიონი უმთავრესად ცარცული და იურული ქანებითაა აგებული, აქა-იქ პალეოზოური და პრეკემბრიული ფორმაციებით მაღალ რეგიონებში. სალი, კრისტალური მეტამორფული ქანები, როგორცაა შისტი და გნაისები, ასევე პრე-იურული გრანიტები დასავლეთში გვხვდება, ხოლო აღმოსავლეთში გვაქვს რბილი, ადრეული და შუა იურული თიხნარი შისტი და ქვიშაქვა. მთისწინეთი დიდ კავკასიონზე ნაგებია ახალგაზრდა კირქვით, ქვიშაქვით და მერგელებით. მცირე კავკასიონი, საპირისპიროდ, პალეოგენური ქანებითაა ნაგები, აქა-იქ იურული და ცარცული ფორმაციებით. საქართველოს ყველაზე ახალგაზრდა გეოლოგიურ სტრუქტურებს წარმოადგენს ვულკანური ზეგნები ქვეყნის სამხრეთში. ასეთი გეოლოგია ქმნის უკიდურესად რთულ რელიეფს გამოხატული კლიმატური გრადიენტებით: (1) დიდი კავკასიონის მთები, რომლის მწვერვალები ხშირად 5000 მ-ს სცდება (შხარა, ჭანჭახი, ბაბის მთა, მყინვარწვერი); (2) მთათაშორისი ბარი დიდ და მცირე კავკასიონებს შორის; (3) მცირე კავკასიონის მთები, რომლის მწვერვალები იშვიათად სცდება 3000 მ სიმაღლეს (მეფისწყარო, ხევა, შავი კლდე, ყანის მთა, არსიანი); (4)

სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგანი, ზღვის დონიდან 1300-2200 მ სიმაღლეზე (Nakhutsrishvili 1999, 2012; Zazanashvili *et al.* 2009).

საქართველოს ჰავაზე გავლენას ახდენს მისი მდებარეობა თბილ ზომიერ ზონაში შავ და კასპიის ზღვებს შორის და მისი რთული რელიეფი. საქართველოს სანაპირო 330 კმ სიგრძისაა. აქ ჰავა თბილია, იანვრის საშუალო ტემპერატურაა 4-7°C, ივლისისა კი 22-23°C, ნალექები უზვია (1500-2000 მმ წლიურად). მაგრამ ეს თბილი, ოკეანურ-სუბტროპიკული კლიმატი მხოლოდ დაბალ სიმაღლეებზე გვხვდება (650 მ-ზე დაბლა); უფრო მაღლა ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთისკენ ჰავა უფრო ზომიერადაა თბილი. დიდი კავკასიონი გზას უღობავს ჩრდილოეთიდან მონაზერ ცივ ქარებს, ხოლო შავი ზღვიდან თბილი და ნოტიო ჰაერი იოლად ვრცელდება სანაპირო ბარში ვიდრე ლიხის ქედამდე, რომელიც გარკვეულწილად ეღობება ამ ჰაერის დასავლეთისკენ გავრცელებას. საქართველოს ცენტრალურ მთებში ნალექები მატულობს და შეიძლება ორჯერაც მეტი იყოს, ვიდრე ბარში. მთებში ამინდი სწრაფად გრილდება და სინოტივეც მატულობს, ასე რომ 2100 მ-ზე მაღლა მცენარეულობა სუბ-ალპურსა და ალპურში გადადის, ხოლო მუდმივი თოვლის ნახვა შეიძლება 3600 მ-დან და უფრო მაღლა (Nakhutsrishvili 1999, 2012; Zazanashvili *et al.* 2009).

მცენარეთა გამოყენების ისტორია

კავკასია მსოფლიო ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთ ცენტრად ითვლება (Akhalkatsi & Tarkhishvili 2011; Otte *et al.* 2011; Schatz *et al.* 2009; Kimeridze & Akhalkatsi 2006). აქ ბოტანიკურ კვლევების დიდი ხანია მიმდინარეობს და მცენარეულობის შემადგენლობა და ფლორა კარგადაა ცნობილი (Nakhutsrishvili 1999, 2012).

დღევანდელი საქართველოს ტერიტორია (ნახ. 1) ქვედა პალეოლითში უკვე დასახლებულია, ხოლო მიწათმოქმედება ადრეულ ნეოლითშივე განვითარდა. თუმცა, არის აღმოჩენილი ჰომინიდების ადრეული პლეისტოცენის სადგომიც სამხრეთ საქართველოში, დმანისში, რომლის ასაკი სულ ცოტა 1.7 მილიონი წელია, რომელიც აფრიკის გარეთ უძველესი სადგომია (Javakhishvili 1987; Finlayson 2005; Gabunia *et al.* 2000; Ganunia & Vekua 1995).



ნახ. 1. საქართველოს მდებარეობა და მისი ისტორიული მხარეები

მცენარეებისა და ცხოველების გამოყენება დოკუმენტირებულია ზედა პალეოლითიდან მოყოლებული, მუბუანას მღვიმეში ნაპოვნი ნამარხებით, რომელთა ასაკი ~36-34 ათასი წელია და შეიცავს ჯიხვის (*Capra*

caucasica) მატყლისა და სელის (*Linum usitatissimum*) შეღებულ ბოჭკოებს (Adler & Bar-Oz 2009). ნეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანების არქეოლოგიური მასალა, რომელიც თარიღდება ძვ. წ. მე-6 - მე-2 ათასწლეულით, მდიდარია როგორც ველური მცენარეების, ისე კულტურული ჯიშების თესლით (Melikishvili 1970). ვაზის (*Vitis vinifera*) უძველესი, 8 ათასი წლის წინანდელი ნამარხი წიპწები აღმოჩენილია სამხრეთ საქართველოში (Ramishvili 1988). სამკურნალო მცენარეები, როგორიცაა მარმუჭი (*Alchemilla millefolium*), უჯანგარი (*Artemisia annua*), აბზინდა (*Artemisia absinthium*), ღიღილო (*Centaurea jacea*) და ჭინჭარი (*Urtica dioica*) ასევე ნაპოვნია ამ არქეოლოგიურ მასალაში და დღევანდელ ფარმაკოპეიაში შედის (Martkoplshvili & Kavavadze 2015).

საქართველოს ძირძველი მიწათმოქმედება ხასიათდება ადგილობრივი ჯიშების მაღალი მრავალფეროვნებით, რაც უკვე საბჭოთა პერიოდშივე იქნა დოკუმენტირებული (Dekaprevich & Menabde 1929; Ketskhoveli 1928, 1957, 1960; Menabde 1938, 1948). მაგრამ, 1950-იან წლებში წამოწყებულ სასოფლო-სამეურნეო რეფორმებს მოყვა ამ კულტივარების სწრაფი კარგვა (Akhalkatsi 2009; Akhalkatsi *et al.* 2021; Pistrick *et al.* 2009; Zhizhizlashvili & Berishvili 1980). ეს პროცესი გაძლიერდა დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ და ტრადიციების კარგვას ადამიანისა და მგლის კონფლიქტის გამწვავებაც კი მოჰყვა (Kikvidze & Tevzadze 2014). თუმცა, ვაზის (*Vitis vinifera*, Vitaceae) შემთხვევაში, ჯერ კიდევაა შესაძლებელი ნაირგვარი ადგილობრივი კულტივარის პოვნა, რომელიც უმაღლეს გენეტიკურ მრავალფეროვნებას საქართველოში აჩვენებს - ცნობილია 600 ვარიანტი, ათეულობით მათგანი კი კომერციულ გამოყენებასაც პოულობს (Javakhishvili 1987; Ramishvikli 1988; Ekhvaia & Akhalkatsi 2010; Ketskhoveli *et al.* 1960; This *et al.* 2006; Bedoshvili 2008). ამის საპირისპიროდ, 1940-იან წლებში საქართველოში რეგისტრირებული ხორბლის (*Triticum*) 144 ვარიანტისა და 150 ფორმიდან (Menabde 1940, 1948) არსებითად არც ერთი აღარ ითესება კომერციული მიზნით (Akhalkatsi *et al.* 2021), თუმცა ტრადიციული ხორბლების ჯერ კიდევ თესვა აღწერილია მეზობელ თურქეთში (Badr *et al.* 2000). მსგავსია ვითარება ქერის (*Hordeum vulgare*, Poaceae), რომელიც თავიდან მნიშვნელოვანი იყო ლუდის ხარშვის, რიტუალების დაცვისა და სამკურნალო მიზნებისთვის (Javakhishvili 1987; Akhalkatsi & Girgvilani 2016), ასევე ჭვავის (*Secale cereale*, Poaceae) (Castañeda-Álvarez *et al.* 2016). შემთხვევაში. განსხვავებით მარცვლეულებისგან, პარკოსნები, როგორიცაა ბარდა (*Pisum sativum*), ოსპი (*Lens cornicularis*), მუხუდო (*Cicer arietinum*), ცერცვი (*Vicia faba*), შემორჩენილია ლობიოს (*Phaseolus vulgaris*) გვერდით. ბოსტნებში ასევე ხშირად ნახავთ სალათას (*Lactuca sativa*), რეჰანს (*Ocimum basilicum*), პიტნას (*Mentha x piperita*), ხახვს (*Allium cepa*), ჭარხალს (*Beta vulgaris*), ისპანახს (*Spinaca oleracea*), სტაფილოს (*Daucus carota*), ბოლოკს (*Raphanus sativus*), თაღამს (*Brassica rapa* var. *rapa*), ჭლაკვს (*Allium fistulosum*), ჯიჯლაყას (*Amaranthus viridis*), ნაცარქათამას (*Chenopodium album*), პრასს (*Allium apeloprasum*) და ნიორს (*Allium sativum*). მწვანელი, როგორიცაა ოხრახუმი (*Petroselinum crispum*), ქინძი (*Coriandrum sativum*), ტარხუნა (*Artemisia dracunculus*), ქონდარი (*Satureja hortensis*), წიწმატი (*Lepidium sativum*), კამა (*Anethum graveolens*), დიდი კამა (*Foeniculum vulgare*), ნიახური (*Apium dulce*) ფართოდ კულტივირდება და სამზარეულოს პოპულარული ინგრედიენტებია (Bussmann *et al.* 2014). ასეთი მრავალფეროვნების შენარჩუნება მეტად მნიშვნელოვანია მსოფლიო მემცენარეობისთვის (Kan *et al.* 2015; Asanidze *et al.* 2011). ბევრი სახეობა ფართოდ იყიდება როგორც სამკურნალო საშუალება (Akhalkatsi *et al.* 2005).

ბოლო წლებში, მკვეთრად იმატა ეთნობოტანიკურმა კვლევებმა საქართველოში და გამოქვეყნდა შრომები, რომლებიც მცენარეების გამოყენების ფართო სპექტრს ასახავს (Pieroni *et al.* 2020; Batsatsashvili *et al.* 2020a,b; Bussmann 2017; Bussmann *et al.* 2016a,b,c, 2017a,b,c, 2018, 2020a,b,c,d; Kazanci *et al.* 2020; Łuczaj *et al.* 2017). თუმცა, ამ შრომებიდან მხოლოდ ერთეულები ეძღვნებოდა კერძოდ საკვებ მცენარეებს (Pieroni *et al.* 2020; Łuczaj *et al.* 2017), რაც ჯერ კიდევ მოყავთ საკარმიდამო ბაღბოსტნებში. ბაღბოსტნებს ხშირად უწოდებენ მემცენარეობის (Eyzaguirre & Linares 2004; Alcorn 1992; Merrick 1992; Poot Pool *et al.* 2015; Smith 1996; Coomes & Ban 2004) გერმპლაზმის რეზერვუარს, რომელიც ამასთან ძირითადი საკვების წყაროცაა (Colunga-García & Zizumbo-Villarreal 2004; Das & Kumar Das 2015). უფრო ფართოდ, ევრაზიაში, ნაჩვენებია, რომ საკარმიდამო ბაღბოსტნები მცენარეთა მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი საცავია, ჩართული თესლეულის გაცვლის რთულ ქსელში (Reyes García *et al.* 2010, 2012, 2013; Vogl-Lukasser *et al.* 2010).

საქართველოში ეთნობოტანიკური კვლევების ტრადიციულიდან გამომდინარე, საკვებ მცენარეებზე დაგროვილი მონაცემები დიდი ხანია მეტა-ანალიზს საჭიროებს. ამ შრომაში ჩვენი ჰიპოთეზა იყო, რომ: (1) მცენარეების გამოყენების ხანგრძლივი ტრადიციისა და საბჭოთა წლებში ქვეყნის იზოლაციის გამო, როგორც ბაღბოსტანში მოყვანილი, ისე ტყეში შეგროვილი მცენარეების გამოყენება უფრო გამოხატული იქნებოდა

საქართველოში, ვიდრე მის გარეთ ამ რეგიონში, (2) მცენარეებისა და მათი გამოყენების ცოდნა ფართოდ და თანაბრად იქნებოდა გავრცელებული საქართველოს უდიდეს ნაწილში და (3) მიუხედავად მცენარეების ფართო გამოყენებისა, მაინც იქნებოდა ამ ცოდნის კარგვის შემთხვევები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს კლიმატურად ხელსაყრელ სამიწათმოქმედო რეგიონებში.

მასალა და მეთოდები

ეთნობოტანიკური გამოკითხვა

2013-2019 წწ. გამოკითხვით 380-ზე მეტი რესპონდენტი საქართველოს ყველა მხარეში, გარდა რუსული ჯარებით ოკუპირებული ტერიტორიებისა და ჩავიწერეთ გამოყენების 32000 შემთხვევა. მათი ანალიზი სხვადასხვა სტატიების სახით იქნა გამოქვეყნებული (Batsatsashvikli *et al.* 2020a,b; Bussmann 2017; Bussmann *et al.* 2016a,b,c, 2017a,b,c, 2018, 2020a,b,c,d). მაგრამ, გამრყენების ამ ჩანაწერებიდან 19800 საკვებ მცენარეებს ეხება და ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, რომ ესენი ცალკე გაგვეანალიზებინა. ვიყენებდით ნახევრად-სტრუქტურირებულ კითხვარებს, მონაწილეებისგან კი წინასწარ სიტყვიერ თანხმობას ვიღებდით გამოკითხვის შესახებ. მონაწილე რესპონდენტებს ვარჩევდით ჯაჭვური მეთოდით, თან ვცდილობდით დაგვეცვა თანაფარდობა სქესსა და ასაკობრივ ჯგუფებს შორის. მიუხედავად ამისა, რესპონდენტების უმრავლესობა მაინც 50 წელზე მეტი ხნის იყო, რადგან მივარდნილ სოფლებში ძალიან ცოტა ახალგაზრდაა დარჩენილი. გამოკითხვა ყოველთვის ხდებოდა რესპონდენტის კარ-მიდამოში ქართულსა და მის დიალექტებზე (იმერული, რაჭული, ლეჩხუმური, თუშური, ხევსურული, ფშაური, კახური), ასევე სხვა ქართველურ ენებსა (სვანური, მეგრული) და უმცირესობათა ენებზე (ოსური, უდიური, აზერბაიჯანული, სომხური, ბერძნული). ეს ენები მითითებულია ცხრილ 1-ში. პასუხები შემდეგ ითარგმნებოდა ინგლისურად. შესავლის სახით, გამოკითხვა იწყებოდა ბალბოსტნების შესახებ დასმული კითხვებით და გრძელდებოდა თავისუფალი ჩამონათვალის მეთოდით. სახეობებს ვათავსებდით “ბალბოსტნის” ჯგუფში, თუ ისინი მოყვავდათ დამუშავებულ მიწაზე და “ტყის” ჯგუფში, თუ მათ ველურ ბუნებაში აგროვებდნენ. მცენარეების ამგვარ დაყოფას მივდევდით ამ ადრე გამოქვეყნებულ შრომებში (Batsatsashvikli *et al.* 2020a,b; Bussmann 2017; Bussmann *et al.* 2016a,b,c, 2017a,b,c, 2018, 2020a,b,c,d) და თანმიმდევრულობა მოითხოვდა შრომაშიც იმავე ჯგუფებად დაყოფას. ბევრი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოს გამოქვეყნებული აქვს სრული ფლორა (Flora of Georgia Committee 1941-1952, 1971-2011; Gagnidze 2005; Makashvili 1952-1953, 1991), ისევე როგორც მცენარეთა ხალხური სახელების ვრცელი სიები (Makashvili 1991). მცენარეების გარკვევა უშუალოდ ველზე ხდებოდა ამ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ასევე ვაგროვებდით ვაუჩერებს, რომლებიც ინახება საქართველოს ეროვნულ ჰერბარიუმში (National Herbarium of Georgia, TBI). ყველა სახეობის ნომენკლატურა წარმოდგენილია APGIII სისტემის (www.tropicos.org) მიხედვით (Angiosperm Phylogeny Group 2009). ველზე მცენარეთა შეგროვების ნებართვას ვიღებდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტიდან.

მონაცემთა ანალიზი

მონაცემების ტაბულირება ხდებოდა პროგრამა ექსელის გვერდებზე. შემდეგ კი შეერთდა ერთ დიდ ცხრილში, რომლის სტრიქონები წარმოადგენენ მცენარეების სახეობებს, ხოლო სვეტებში მოცემულია თარიღი, ადგილი, რესპონდენტის ასაკი და სქესი, ჩამწერა მკვლევარი, მცენარის სახელწოდება (ლათინური, ქართული, ადგილობრივი), გამოყენება, გამოყენებული ნაწილი და წარმომავლობა (ტყის თუ ბალბოსტნის). ჩვენ ვადარებდით სახეობების მრავალფეროვნებას ჯგუფებს (წარმომავლობასა და მხარეებს) შორის ნიმუშების რარეფაქციის მეთოდით და ასევე მრავალფეროვნების ფართოდ გამოყენებული ინდექსებით, როგორცაა დომინანსი (D), შანონის ინდექსი (H), ერთგვარობა ($e^{-H/S}$), სიმპსონის ინდექსი, ($1 - D$), თანაბრობა (J), ფიშერის ალფა, ბერგერ-პარკერის ინდექსი (BP) - რადგან ცალკე აღებული რომელიმე ინდექსით მსჯელობა არ კმარა ზოგი სახეობის მნიშვნელობის დასადგენად. სახეობრივი შემადგენლობის მსგავსებას ჯგუფებს და მხარეებს შორის ვაანალიზებდით არამეტრული მრავალგანზომილებიანი სკალირებით (nMDS). ყველა ეს ანალიზი ჩატარდა პროგრამა PAST4.02-ით (Hammer *et al.* 2001).

ცხრილი 1.

	ადგილობრივი სახელი (ქართული, თუ მიღებული არაა მისი დიალექტი ან სხვა ენა: : სმხ. = სომხური; იმერ. = იმერული; ხევ. = ხევსურული); რუს. = რუსული; სვან. = სვანური; თუშ. = თუშური; ოს. = ოსური	გამოყენება (ტრადიციული კერძების ახსნა იხ. ტესტში)	ტყე თუ ბალ-ბოსტანი
Actinidiaceae			
<i>Actinidia callosa</i> Lindl.	კივი, აქტინიდია	ნაყოფი, უმად, არყის ხდა, და მურაბა ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
Adoxaceae			
<i>Sambucus ebulus</i> L.	ანწლი, ანწილი, ღენღი (სვან.), გენჭვ (სვან.)	ნაყოფი, უმად, არყის ხდა, და მურაბა ფოთლები ფხლად	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Sambucus nigra</i> L.	დიდგულა, თხიფსელა, თოფილაი (სვან.)	ნაყოფი, უმად, არყის ხდა, და to მურაბა	ტყის
<i>Viburnum lantana</i> L.	უზანი, თურსა (თუშ.), წონწოგ (სვან.), ალუდა, ჭიჩულა, ჭიჩულა	ნაყოფი, უმად	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Viburnum opulus</i> L.	ძახველი, წონწოგ (სვან.), სანწეფი (სვან.), წანწოფი (სვან.), ალუდა	ნაყოფი, უმად, არყის ხდა, და for ჩაი	ტყის
Amaranthaceae			
<i>Amaranthus cruentus</i> L.	ჯიჯლაყა-ყვავილი, ლერტაგიჭი	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Amaranthus palmeri</i> S. Watson	ჯიჯილაყი	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Amaranthus paniculatus</i> L.	წითელი ჯიჯლაყა, თათრულა ფხალი	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Amaranthus retroflexus</i> L.	ჯიჯლაყა, ჭიჭლაყა, რუხვეფრია, წითელი ფხალი, ლიხანა ფხალი, ჩვეულეზრივი ჯიჯლაყა, თვითმავალა, წოწნარა ფხალი, წოწნარა, მხალი-ბალახი, თეთრი მხალი	ფოთლები, ღერო ფხლად, ფხლოვანა	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Amaranthus spinosus</i> L.	ჯიჯლაყა-ყვავილი	ღერო უმად, ფხალი	ბალ-ბოსტნის
<i>Atriplex hortensis</i> L.	წითელი მხალი, თათაბო (თუშ.)	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Beta vulgaris</i> L.	ჭარხალი, წითელი ჭარხალი, შავი ფხალი, ხოლჰნუტა (ხევს.) Sokla (სმხ.)	ფესვები უმად ფოთლები მწნილად (დუღილით), ფხალი	ბალ-ბოსტნის
<i>Beta vulgaris</i> L. ssp. <i>cicla</i> (L.) Moq.	მანგოლდი, ფოთლოვანი ჭარხალი, ჭარხალი, წითელი ფხალი, სოტოლია	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Beta vulgaris</i> L. ssp. <i>esculenta</i> (Salisb.) Gürke var. <i>altissima</i> Rössig.	შაქრის ჭარხალი, ხულ (სვან.)	ფესვები უმად და მოხარშული ფოთლები მწნილად (დუღილით), ფხალი	ბალ-ბოსტნის

<i>Blitum virgatum</i> L.	მათუთა (ნაცარქათამა, ძაღლთუოლა (თუშ.))	ფოთლები, ღერო, თესლი - ფხალი	ტყის
<i>Chenopodium album</i> L.	ნაცარქათამა, მხალი, ჯუმურია, ქათამნაცარა (), ქათანაცარა (სვან.), მესგვლა (სვან.), მესგვლა (სვან.), ფუტყა (ოს.)	ფოთლები, ღერო ფხლად, ფხლოვანა ანუ მხლოვანა	ბაღ-ბოსტნის, ტყის
<i>Chenopodium bonus-henricus</i> L.	მხალი	ფოთლები ფხლად	ბაღ-ბოსტნის
<i>Chenopodium</i> sp.	ნაცარქათამა	ღერო - მწნილად (დეუდილით)	ტყის
<i>Spinacia oleracea</i> L.	ისპანახი, ნაცარქათამა	ფოთლები, ღერო ფხლად, მწნილად (დეუდილით)	ბაღ-ბოსტნის
Amaryllidaceae			
<i>Allium ampeloprasum</i> L.	პრასი, პრასა (სვან.)	ფოთლები, ღერო, მთელი მცენარე- ფხალი	ბაღ-ბოსტნის
<i>Allium ascalonicum</i> L.	სოხვი	ღერო უმად	ბაღ-ბოსტნის
<i>Allium atrovioleaceum</i> Boiss	ყანის ნიორი, კატაპრასი	ბოლქვი - მწნილად (დეუდილით)	ბაღ-ბოსტნის
<i>Allium cepa</i> L.	ხახვი, ხვარხვი, შირაქულა, ჩლაყვა ხახვი, ქართოპილა ხახვი	ბოლქვი, მთელი მცენარე- უმად და მოხარშული, სანელებელი ფოთლები ფხლად	ბაღ-ბოსტნის
<i>Allium fistulosum</i> L.	ჭლაკვი, სოხვი, ჭყუბალა, ჭაგვ (სვან.)	ბოლქვი, მთელი მცენარე, ღერო, ფოთლები - უმად და მოხარშული, სანელებელი, ფხალი	ბაღ-ბოსტნის
<i>Allium kunthianum</i> Vved.	კლდის ხახვი, კლდისნიორა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Allium ponticum</i> Miscz.	ყანის ნიორი, კატაპრასი	ბოლქვი - მწნილად (დეუდილით)	ბაღ-ბოსტნის
<i>Allium porrum</i> L.	პრასი, იმერული პრასი, პრასა	ბოლქვი, მთელი მცენარე, ღერო, ფოთლები - უმად და მოხარშული, სანელებელი, ფხალი	ბაღ-ბოსტნის
<i>Allium rotundum</i> L.	ყანის ნიორი, ჭლაკვი, სორხი, ღოღე სორხი	ღერო, ბოლქვი - უმად, ფხალი, მწნილად (დეუდილით)	ბაღ-ბოსტნის
<i>Allium sativum</i> L.	ნიორი, რუსულა ნიორი	ბოლქვი, ყვავილი, ფოთლები, მთელი მცენარე- უმად, მოხარშული, ფხალი	ბაღ-ბოსტნის
<i>Allium</i> sp.	ველური პრასა, ველური პრასა	ღერო უმად	ტყის
<i>Allium ursinum</i> L.	ღანძილი, მთის ღანძილი, ოლენა, სობო, ნიხანძილ (სვან.)	ფოთლები, მთელი მცენარე- ფხალი, მწნილად (დეუდილით)	ტყის, ბაღ-ბოსტნის
<i>Allium victorialis</i> L.	ღანძილი, მთის ღანძილი, ოლენა, სობო, მთის ღანძილი, ტყინიორა, ნიორა, შყაჟვი ღვესუ, ნიხანძილ (სვან.), შიშლილ (სვან.), შებუ (თუშ.), Masundi (სმხ.)	ფოთლები, ღერო, ბოლქვი, მთელი მცენარე- ფხალი, მწნილად (დეუდილით)	ტყის, ბაღ-ბოსტნის

<i>Galanthus woronowii</i> Losinsk.	ვორონოვის თეთრყვავილა, ენძელა	ბოლქვი - უმად (შენიშვნა: სხვაგან შხამიანად ითვლება)	ტყის
<i>Narcissus</i> sp.	ნარგიზი, ნიორა მცენარე	ყვავილი - უმად (შენიშვნა: სხვაგან შხამიანად ითვლება)	ტყის
Annonaceae			
<i>Annona cherimola</i> Mill.	ანონა	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
Apiaceae			
<i>Aethusa cynapium</i> L.	მარიამძმარა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Agasyllis latifolia</i> (Bieb.) Boiss.	დუცი, ლაგი, ღეჰ (სვან.), ღეი (სვან.)	ღერო, ფოთლები, ფესვი - ფხალი, მწნილად (დუღილით), ჩავე, ფხლოვანა	ტყის
<i>Anethum graveolens</i> L.	კამა, ცერეცო დიდი კამა, ცერეცო	ფოთლები, თესლი, ღერო, მთელი მცენარე- სანელებელი, სვანური მარილის ინგრედიენტი ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Angelica tatianae</i> Bordz.	ანგელოზა	ღერო - მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Anthriscus cerefolium</i> (L.) Hoffm.	ჭყიმა-ფხალი	ფოთლები, ღერო ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Anthriscus nemorosus</i> (M. Bieb.) Spreng.	მათუთი, ლიმი (სვან.)	ფოთლები, თესლი, ღერო - მწნილად (დუღილით) ნაყოფი, უმად	ტყის, ბალ- ბოსტნის
<i>Anthriscus sylvestris</i> L.	ლიმი, ჭყიმი, მაწარა, ღიმის დედა, Sokla (სმხ.)	ღერო, ფოთლები მწნილად (დუღილით), ფხალი	ტყის
<i>Apium graveolens</i> L.	ნიახური, დიდი ნიახური, სონა	ღერო, ფესვი, ფოთლები - უმად, მწნილად (დუღილით), სანელებელი, ფხალი	ბალ-ბოსტნის
<i>Carum carvi</i> L.	ძირა, კვლიავი, კვლიავა, წყლის ქონდარი (თუშ.), გიცრულ (სვან.)	თესლი - სანელებელი, სვანური მარილის ინგრედიენტი ნაყოფი, უმად, ხინკალში, ჩავე, მწნილად (დუღილით)	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Chaerophyllum aureum</i> L.	ძენწკლია, ყინტორა, ხოზო, ყვასგ სვან (სვან.), ჭიმი (თუშ.)	ღერო, ფესვი - მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Chaerophyllum ბოლქვიოსუმ</i> L.	ლიმი, ატოლი, ჭიმი (თუშ.)	ღერო, ფოთლები, თესლი - მწნილად (დუღილით), ფხალი, ფხლოვანა	ტყის
<i>Chaerophyllum caucasicum</i> (Fisch.) B. Schischk	ლიმი, ატოლი, ხიფხოლა, ჭიმი (თუშ.), Shushan (სმხ.), Pampara (სმხ.)	ფოთლები, ღერო, ფესვი - ფხალი, ფხლოვანა, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Conium maculatum</i> L.	მათუთი, კონიო, მათუთა	ფოთლები, ღერო ფხლად, მწნილად (დუღილით)	ტყის

		(შენიშვნა: სხვაგან ძლიერ შხამიანად ითვლება))	
<i>Coriandrum sativum</i> L.	ქინძი	თესლი, ფოთლები, ღერო - სვანური მარილის ინგრედიენტი, ფხალი, სანელებელი	ბალ-ბოსტნის
<i>Daucus carota</i> L. ssp. <i>sativus</i>	სტაფილო, ფერისცვალა, სიქილონჯა, მარკოვი, Markowa (სმხ.)	ფესვი, ფოთლები, მთელი მცენარე-ფხალინაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Falcaria vulgaris</i> Bernh.	კოფრჩხილა, ბატიფეხა	ფოთლები, ღერო ფხლად, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Foeniculum vulgare</i> Mill.	ცერეცო, დიდი კამა, ოკრუპი, კამა	ფესვი, თესლი, ღერო, ფოთლები - უმად, ფხალი, სვანური მარილის ინგრედიენტი, სანელებელი	ბალ-ბოსტნის
<i>Heracleum asperum</i> M. Bieb.	შუპყა	ღერო, ფოთლები მწნილად (დუღილით), საწებაი, ფხალი	ტყის
<i>Heracleum leskovii</i> Grossh.	შუპყა	ღერო - მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Heracleum sect. villosum</i>	თეთრი დიყი, ლაგი	ღერო - მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Heracleum sosnowskyi</i> Manden	დიყი, ხევსურის დიყი, დიყინა, ქეხი, Qekhi (სმხ.)	ფოთლები, თესლი, ღერო - მწნილად (დუღილით), - ფხალი, საწებაი, ჩავე	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Heracleum</i> sp.	ლეშხი	ღერო - მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Heracleum</i> sp.	დიყი	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Heracleum</i> sp.	დიყი, მდიყი, მდუსი	ღერო - მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Heracleum</i> sp.	დიყი, ჩიჩვლა, ნანჩხოლ (სვან.)	ღერო - მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Heracleum wilhelmsii</i> Fisch. & Avé-Lall	დიყი, ქეხი, Qekhi (სმხ.)	ღერო - მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Hippomarathrum crispum</i> (Pers.) Boiss.	ქარქვეტა, ბურბურა, ქარქვეტა	ღერო, ფოთლები ფხლად, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Levisticum officinale</i> W.D.J. Koch	ცისკარა, სასუქა	ფოთლები, ღერო ფხლად, ჩავე, საწებაი, მწნილად (დუღილით)	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Ligusticum alatum</i> Spreng.	მარიამა	ფოთლები - ფხალი, საწებაი	ტყის
<i>Petroselinum crispum</i> (Mill.) Fuss	ობრახუში, მაკიდო, მადდანოზი, მაკინდოლი	ფოთლები, ღერო, მთელი მცენარე, თესლი - სანელებელინაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Xanthogalum purpurascens</i> Avé-Lall.	ჯოჭი, ქურქუნდელი	ღერო უმად	ტყის

Araceae			
<i>Arum italicum subsp. albisoathum</i> (Stevens ex Ledeb.) Prime	ქალაკოდა (სვან.)	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Arum orientale</i> M. Bieb.	ქალაკოდა (სვან.)	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Arum</i> sp.	ნიუკა, დაჭრილა, ქალაკოდა (სვან.)	ფოთლები, ღერო ფხლადნაყოფი, უმად	ტყის, ბაღ-ბოსტნის
Araliaceae			
<i>Aralia spinosa</i> L.	არალია	ყვავილი - თაფლოვანი	ბაღ-ბოსტნის
Asparagaceae			
<i>Asparagus officinalis</i> L.	სატაცური	ადამიანის საკვები, ადამიანის საკვები - ფხალი	ბაღ-ბოსტნის, ტყის
<i>Asparagus</i> sp.	სატაცური	ადამიანის საკვები	ტყის
<i>Muscari sosnowskyi</i> Schchian	ყაზახა	ადამიანის საკვები	ტყის
<i>Ornithogalum woronowii</i> Kasch	იმერული ძაღლნიორა	ფოთლები, ბოლქვი - ფხალინაყოფი, უმად	ტყის
<i>Polygonatum glaberrimum</i> C. Koch	სვინტრი, სკვანტილა	ფოთლები - ჩავე, ფხალი	ტყის
<i>Ruscus colchicus</i> Yeo	ძმერხლი	ღერო უმად	ტყის
<i>Ruscus hypophyllum</i> L.	ძმერხლი	ადამიანის საკვები	ტყის
<i>Scilla</i> sp.	ცისთვალა, ოლენა	ღერო უმად	ტყის
Asteraceae			
<i>Achillea grandiflora</i> M. Bieb.	ჯორთკუდა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Achillea millefolium</i> L.	ფარსმანდუკი	მთელი მცენარე, ფოთლები - ჩაი, ფხლოვანა	ტყის
<i>Arctium lappa</i> L.	ძირხვენა, ოროვანდი, (სმხ.)	ფოთლები, ფესვი, ღერო - ფხალინაყოფი, უმად, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Artemisia absinthium</i> L.	აბზინდა, ხმატურა, მიწავაშლა, გიეში (თუშ.)	ფოთლები ფხლად, ჩაი	ბაღ-ბოსტნის, ტყის
<i>Artemisia dracunculus</i> L.	ტარხუნა	ფოთლები, ფესვი, ღერო, თესლი - ფხალი, სანელებელინაყოფი, უმად, გამაგრილებელი სასმელი	ბაღ-ბოსტნის
<i>Artemisia vulgaris</i> L.	ჯორთკუდა	ფოთლები - ფხალი, საწებაი	ტყის

<i>Bidens tripartida</i> L.	ორკბილა, череда (რუს.)	თესლი - უმად	ტყის
<i>Cichorium intybus</i> L.	ხაპრაი, ტიტა, ვარდკაჭაჭა, ხათალდიდნყ (სვან.)	ფოთლები, ღერო, ფესვი - საწებაი ფესვი - ყავის შემცველი	ტყის
<i>Cirsium arvense</i> (L.) Scop.	თეთრი ნარი, გლიხორხა (გლიხორხა), ნარა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის, ბალ- ბოსტნის
<i>Cirsium</i> sp.	ნარი,	ფოთლები - საწებაი	ტყის
<i>Cirsium vulgare</i> (Savi.) Ten.	ჩვეულებრივი ნარი, ქვაცხაცხი (ქვაცხაცხი)	ყვავილი - თაფლოვანი	ტყის
<i>Crepis</i> sp.		ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Cynara cardunculus</i> L.	ესაკანური არტიოკი	ყვავილი - უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Echinops</i> sp.	თავკომბალა	თესლი - უმად	ტყის
<i>Eruca vesicaria</i> (L.) Cav.	რუკულა	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Helianthus annuus</i> L.	მზესუმზირა	თესლი - უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Helianthus tuberosus</i> L.	მიწავაშლა, ხმატურა, მიწის ვაშლი	ფოთლები, ფესვები - ფხალინაყოფი, უმად ფესვები - მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Lactuca sativa</i> L.	მწვანე სალათა, სალათა, ბერტნძული სალატა, სალათის ფოთოლი	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Lactuca sativa</i> L. greek	მწვანე სალათა	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Lactuca serriola</i> L.	ღორის ქადა, ნარკოკობა, ჭინჭახა, ხარნუყა (თუმ.),	ფოთლები, ღერო ფხლად, ჩავე, საწებაი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Lapsana communis</i> L.	ვაზისძირა, ფუჩფუჩა, ბურტყილა, პურტყელა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Lapsana grandiflora</i> M. Bieb	მწარე ხარნუყა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Matricaria chamomilla</i> L.	გვირილა	ფოთლები, მთელი მცენარე- ჩაი, ჩავე	ტყის
<i>Petasites albus</i> (L.) Gaertn.	ბუერა, დილმა, ბუურლუ	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Petasites hybridus</i> (L.) G. Gaert, B. Mey. & Scherb.	ბუერა, ბურღვა გურიაში, დიმელა, ბურღვილ (სვან.), ბარამბო , ბურღვა	ფოთლები, ღერო- ფხალი, ჩავე, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Serratula quinquefolia</i> Bieb. ex Willd.	საღვერავი, ირმისმხალა, ნადირის ფხალი, საფურცქენელა	ფოთლები, ღერო- ფხალი, ჩავე, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Solidago canadensis</i> L.	ყვავილწვრილა	ყვავილი - უმად	ტყის
<i>Sonchus asper</i> (L.) Hill.	ლიჭა, ღენჭო	ფოთლები ფხლად	ტყის, ბალ- ბოსტნის
<i>Stevia</i> sp.	სტევია	ფოთლები - დამატკობელი	ბალ-ბოსტნის
<i>Tagetes patula</i> L.	ყვითელი ყვავილი, იმერული ზაფრანა, ზაფრანა, ხავერდა, იაყაქუ, ჭითაპირი, გულყვითელა (სვან.)	ყვავილი, ფოთლები - სანელებელი, სვანური მარილის ინგრედიენტი	ბალ-ბოსტნის, ტყის

<i>Taraxacum confusum</i> Schischk.	საღვიძლა, ბურბუმელა (თუშ.)	ფოთლები ფხლად, ჩავე	ტყის
<i>Taraxacum officinale</i> Wigg.	საღვიძლა საღვიძლა, ბაბუაწვერა, თუნთიმ ჭები, ფანდურპაპაი (თუშ.), საჯარაი (სვან.)	ფოთლები, ღერო, ყვავილი, ფესვი - ფხალი, ჩავე, ჩაი, დამატკობელინაყოფი, უმად	ტყის
<i>Tragopogon</i> sp.	ფამფარა, Pampara (სმხ.)	ფესვი, ღერო, ფოთლები, ლატექსი - უმად, მწნილად (დუღილით), ფხალი	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Tussilago farfara</i> L.	ვირისტერვა	ფოთლები - ჩაი	ტყის
<i>Xanthium strumarium</i> L.	ღორის ბირკა, ბირკა	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის, ტყის
Begoniaceae			
<i>Begonia rex</i> Putz.	ბეგონია, ბატიბუტი	თესლი	ბალ-ბოსტნის
Berberidaceae			
<i>Berberis vulgaris</i> L.	კოწახური, მჟაუნა, მამჟაველა, ჩვეულებრივი კოწახური, გოცხილ (სვან.), ესკალმმარა	ნაყოფი, ფოთლები, ფესვი - სანელებელი, ტყემალი, ფხალი ფოთლები - კომპოტი	ტყის
Betulaceae			
<i>Alnus barbata</i> C.A. Mey.	მურყანი, ბელყაც (სვან.)	ფოთლები - ჩაი	ტყის
<i>Betula litwinowii</i> Doluch.	არყი	წვენი დასალევად	ტყის
<i>Betula</i> sp.	არყი	წვენი დასალევად	ტყის
<i>Corylus avellana</i> L.	თხილი, ჩვეულებრივი თხილი, თხირი (თხირი), შდის (სვან.), ხაკა (სვან.), ნემსა (სვან.)	ნაყოფინაყოფი, უმად ფოთლები - ფხალი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Corylus colurna</i> L.	დათვითხილა, დათვითხილა	ნაყოფინაყოფი, უმად ფოთლები - ფხალი	ტყის
<i>Corylyus pontica</i> K. Koch.	თხილი, ჩვეულებრივი თხილი, თხირი (თხირი), შდის (სვან.), ხაკა (სვან.), ნემსა (სვან.)	ნაყოფინაყოფი, უმად ფოთლები - ფხალი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Fagus orientalis</i> Lipsky	წიფელი	ფოთლები ფხლად	ტყის
Boraginaceae			
<i>Myosotis</i> sp.	კესანე, კურდღლის საკნატუნო (კურდღლის საკნატუნო), თიკნისყურა (თიკნისყურა)	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Symphytum grandiflorum</i> DC.	ლაშქარა, კარშავა, სარო	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Trachylegrooton orientalis</i> (L.) G. Don	ანჩხლა, ბატკნისყურა, ერბოვანა	ფოთლები - ფხალი, ფხლოვანა	ტყის, ბალ-ბოსტნის
Brassicaceae			

<i>Armoracia rusticana</i> G. Gaertn., B. Mey. & Scherb.	პირშუშხა, ხრენი	ფესვი, ფოთლები ფხლადნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Brassica juncea</i> (L.) Czern.	სარკპტის მდოგვი, დონგი	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Brassica montana</i> Pourr.	კოლრაბი, ხვიტი, კეჟერა ფხალი, კეჟერა ფხალი, ხული	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Brassica oleracea</i> L.	კომბოსტო, კეჟერა ფხალი, კეჟერა, ლახანა (სვან.)	ფოთლები ფხლადნაყოფი, უმად, მწნილად (დეუდილით)	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Brassica oleracea</i> L. red	ლურჯი კომბოსტო	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Brassica oleracea</i> L. var. <i>botrytis</i>	ყვავილოვანი კომბოსტო	ფოთლები, ყვავილი - ფხალინაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Brassica oleracea</i> L. var. <i>gemmifera</i>	ბრიუსელის კომბოსტო	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Brassica oleracea</i> L. var. <i>gongylodes</i>	კოლრაბი, შავი ფხალი, ხვიტი, კეჟერა ფხალი, ხული	ფოთლები, ღერო, ფესვი - ფხალინაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Brassica oleracea</i> L. var. <i>Italica</i>	კომბოსტო, ბროკოლი	ფოთლები, ყვავილი - ფხალი, მწნილად (დეუდილით)	ბალ-ბოსტნის
<i>Brassica rapa</i> subsp. <i>campestris</i> (L.) Clapman	შალგი, გიერა (თუშ.)	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Brassica rapa</i> subsp. <i>oleifera</i> (DC) Metzger	შალგი, გიერა (თუშ.)	ფოთლები, ღერო ფხლად, საწებაი, მწნილად (დეუდილით)ნაყოფი, უმად	ტყის
<i>Brassica rapa</i> L. subsp. <i>rapifera</i> Metzger	თაღამი, ბოლოკი, ქართ (სვან.), მიწიჩალა (იმერ.)	ფესვი, ფოთლები მწნილად (დეუდილით), ფხალინაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Brassica rapa</i> var. <i>rapa</i> L.	თაღამურა	ფესვი, თესლი - უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Bunias orientalis</i> L.	ხატოტი, ხონხუტა,ტიტა, ხონხუტა	ფოთლები, ყვავილი, ღერო - ფხალინაყოფი, უმად	ტყის
<i>Capsella bursa-pastoris</i> L.	ხავარტა, ხარკბილა, წიწმატურა, ოდელია, რეკეზოს, ხწ (ოს.)	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Cardamine hirsuta</i> L.	ტყის წიწმატი	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Erysimum cheiri</i> L.	შაბუ	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Lepidium sativum</i> L.	წიწმატი	ფოთლები ფხლადნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Raphanus raphanistrum</i> subsp. <i>sativus</i> (L.) Domin	თვის ბოლოკი, რედისკა, თაღამი, შავი ბოლოკი, მიწისმხალა	ფესვი, ფოთლები ფხლადნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Rapistrum rugosum</i> (L.) All.	ბოლოკა, შალგი, ბოლოკას კოტი	ღერო, Levaes, ფესვი - ფხალინაყოფი, უმად	ტყის, ბალ-ბოსტნის

<i>Sinapis arvensis</i> L.	მინდვრის მდოგვი, შალგი, მდოგვი, გიერა	ფოთლები ფხლად, მწნილად (დუღილით)	ბალ-ბოსტნის
Campanulaceae			
<i>Campanula alliariifolia</i> Wild.	ბუსკანტურა, სკვანტილა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Campanula biebersteiniana</i> Roem. & Schult.	ქარცხვი	ყვავილი - უმად	ტყის
<i>Campanula glomerata</i> L.	დილხამი, ჭარბადელო	ფოთლები, ღერო ფხლადნაყოფი, უმად	ტყის
<i>Campanula rapunculoides</i> L.	მიჩიგტარაი, მაჩიტა, ჩიტითავა, მაჩიკა	ფოთლები, ფესვი, ღერო - საწებაინაყოფი, უმად, ფხალი	ტყის
<i>Gadellia lactiflora</i> (M. Bieb.) Shulkina	კიცმიშლ, დონდოლა, ალოშა, დონდოლო, საფურცქენელა, მუყუდო, კენკეშა, ქიც (სვან.)	ფოთლები, ღერო ფხლადნაყოფი, უმად, ფხლოვანა, საწებაი	ტყის
Cannabaceae			
<i>Cannabis sativa</i> L.	კანაფი, ქან, ქანა	თესლი - სვანური მარილის ინგრედიენტინაყოფი, უმად, - ფხლოვანა, ზეთი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Humulus lupulus</i> L.	სვია, სვე	ყვავილი, ფოთლები, ღერო - ლუდის ინგრედიენტი, ფხალი,	ტყის, ბალ-ბოსტნის
Caprifoliaceae			
<i>Lonicera caucasica</i> Pall.	წერწა, ჭიჭკოტი (თუშ.)	ნაყოფინაყოფი, უმად	ტყის
Caryophyllaceae			
<i>Melandrium divaricatum</i> Boiss.	ვირთბატრა, სასტვენა, სასტვენა, ბალანსა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Melandrium</i> sp.	სასტვენა, სასტვენა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Oberna lacera</i> Sims	ქვიშამხალი (თუშ.)	ფოთლები, ღერო ფხლად, ადამიანის საკვები	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Oberna wallichiana</i> Ikonn.	ჭრიჭინა, ჭყიპანტა, მჭივანა, სატკეცელა	ფოთლები, ღერო - ფხლოვანა	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Silene sibirica</i> (L.) Pers.	ოლენა	ფოთლები, ღერო - მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Stellaria media</i> (L.) Vill.	ჟუნჟრუკი	ფოთლები - ფხლოვანა	ტყის
Convolvulaceae			
<i>Convolvulus arvensis</i> L.	ხვართქლა, გამბულა ბალახი, პატალა	ფოთლები, ღერო ფხლად	ბალ-ბოსტნის
Cornaceae			
<i>Cornus mas</i> L.	შვინდი, შინდი, შულდი, ბგირი, შემ (ოს.)	ნაყოფი, უმად, მურაბა, წვენი, კომპოტი	ბალ-ბოსტნის, ტყის

<i>Swida australis</i> (C.A. Mey.) Pojark ex Grossh.	შინდანწლა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის, ბალ- ბოსტნის
Crassulaceae			
<i>Sedum caucasicum</i> Boriss.	კლდის დუმა (თუშ.)	ფოთლები ფხლადნაყოფი, უმად	ტყის
<i>Sedum stoloniferum</i> Gmel.	მსუქანა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Sempervivum caucasicum</i> Rupr. ex Boiss.	კლდისვაშლა, ჯორისკუდა, კლდის დუმა (თუშ.)	ფოთლები ფხლად	ტყის
Cucurbitaceae			
<i>Bryonia dioica</i> Jacq.	ლემურა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Citrullus lanatus</i> (Thunb.) Matsum. & Nakai	საზამთრო, ჩვეულებრივი საზამთრო	ნაყოფი - მწნილად (დეუდილით)ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Cucumis melo</i> L.	ნესვი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Cucumis sativus</i> L.	კიტრი, პიკული კიტრი, კინტირი	ნაყოფი, ყვავილი - სალათი, უმად, მწნილად (დეუდილით), მწნილისთვის ფერის მისაცემად	ბალ-ბოსტნის
<i>Cucurbita maxima</i> L.	ქესტანა, მსხვილი გოგრა	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Cucurbita pepo</i> L.	გოგრა, ხაპერა, ხაპი, ზამბის ხაპი, კოშიე ხაპი, ქესტანა, მწარე ხაპა (თათრული კვახი, ხოკერა კვახი, უკანო კვახი, წაბლა ხაპი, ხოკერა გოგრა, კოპეშია, კოპეშია (სვან.), კვახი (სვან.)	ნაყოფი, თესლი, ფოთლები მწნილად (დეუდილით), ფხალინაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Cucurbita pepo</i> L. var. <i>giromontia</i>	ყაბაყი	ნაყოფი, ყვავილი - უმად, მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Cucurbita pepo</i> L. var. <i>patisson</i>	გოგრა, ყაბაყი პატისონი	ნაყოფი, უმად, მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Cucurbita</i> sp.	ხაპი, წაბლა ხაპი	ნაყოფი, უმად, მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Lagenaria siceraria</i> (Molina) Standl.	მწარე კვახი	ნაყოფი, უმად, მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Cucurbita</i> sp.	გოგრა, ყაბაყი	ნაყოფი, უმად, მოხარშული	ბალ-ბოსტნის
Cupressaceae			
<i>Juniperus sabina</i> L.	ჭყერო (სვან.)	ღერო, ფესვები უმად შიმშილობისას შენიშვნა: სხვაგან შხამიანად ითვლება	ტყის
Dipsacaceae			
<i>Cephalaria gigantea</i> (Ledeb.) Bobrov	სკიპალო	ღერო უმად	ტყის
Dryopteridaceae			

<i>Dryopteris filix-mas</i> (L.) Schott.	ჩადუნა, ჩადა (სვან.), გვრიმბ (სვან.)	ფოთლები ფხლად, მწწილად (დულილით) (შენიშვნა: სხვაგან შხამიანად ითვლება)	ტყის
Ebenaceae			
<i>Diospyros lotus</i> L.	ხურმა, ჩვეულებრივი ხურმა, კარალიოკი, იაპონური ხურმა, მარსინაია	ნაყოფი, უმად და ჩირად	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Diospyros</i> sp.	ხურმა, ალიაღა	ნაყოფი, უმად და ჩირად	ბალ-ბოსტნის
<i>Diospyros virginiana</i> L.	ვირჯინიული ხურმა, ხურმა	ნაყოფი, უმად და ჩირად	ბალ-ბოსტნის
Elaeagnaceae			
<i>Elaeagnus</i> sp.	ფშატი	ნაყოფი, უმად და ჩირად	ტყის
<i>Hippophaë rhamnoides</i> L.	ქაცვი, აპლეპიხა	ნაყოფი, უმად და ჩირად	ტყის
<i>Shepherdia argentea</i> Nutt.		ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Shepherdia</i> sp.		ნაყოფი, უმად	ტყის
Ericaceae			
<i>Empetrum hermaphroditum</i> Hagerup	კეწერა	ნაყოფი, ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Oxycoccus quadripetalus</i> Gilib.	შტომი	ნაყოფი, უმად	ტყის
<i>Vaccinium arctostaphylos</i> L.	მოცი მაღალი, მაღალი მოცი, მოცი, ლუდი მოცი, მელიშია, დატვის მოცი, ცინყა (სვან.), მეგმულდ (სვან.)	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, მურაბა, კომპოტი, ღვინო ფოთლები - ჩაი, ლუდის ინგრედიენტი, ფხალი	ტყის
<i>Vaccinium myrtillus</i> L.	მოცი, მთის მოცი, მოდგინარი, ბალის მარწყვი, (), მინდორში მელიშია ჟოლი (თუშ.), იღვი (სვან.), მეგმულდ (სვან.), შელშავი, წითელმოჩა, მეგმულდ (სვან.)	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, მურაბა, კომპოტი, ღვინო ფოთლები - ჩაი, ლუდის ინგრედიენტი, ფხალი	ტყის
<i>Vaccinium</i> sp.	მოცი, მელიშია	ნაყოფი, უმად	ტყის
<i>Vaccinium uliginosum</i> L.	ლურჯი მოცი	ნაყოფი, უმად	ტყის
<i>Vaccinium vitis-idaea</i> L.	წითელი მოცი, სტომი (თუშ.), ვიღვი (სვან.), მაიოლ / მია (სვან.), წითელმოჩა (თუშ.)	ნაყოფი, უმად ფოთლები, ტოტები - ჩაი	ტყის
Euphorbiaceae			
<i>Aleurites moluccanus</i> (L.) Willd.	ლუმბინგი	თესლი - ზეთი	ბალ-ბოსტნის
Fabaceae			

<i>Astragalus caucasicus</i> Pall.	გლერძი	ფოთლები - ჩაი	ტყის
<i>Cicer arietinum</i> L.	მუხუდო	თესლი - მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Coronilla varia</i> L.	ყვავისფრჩხილა	ფოთლები - ფხლოვანა	ტყის
<i>Galega orientalis</i> Lam.	ხბომუბლა	ფოთლები, ღერო - მწნილად (დუღილით), ფხალი	ტყის
<i>Glycine max</i> (L.) Merr.	სონა, მუხუდო, იაპონია, სოიო (სვან.)	ფოთლები, თესლი - ფხალი თესლი - მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Glycyrrhiza glabra</i> L.	ძირტკბილა	ფესვი - დამატკობელი	ტყის
<i>Lathyrus roseus</i> Steven	ვაზისძირა, არჯაკელი (თუშ.), ზერჩო (სვან.)	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Lathyrus tuberosus</i> L.	თერო	ტუბერი - მოხარშული	ტყის
<i>Lens cornicularis</i> L.	ოსპი, ქირს (სვან.)	თესლი - მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Phaseolus sativus</i> L.	ლობიო, ჩვეულებრივი ლობიო, ძირის ლობიო, ლებია	ნაყოფი, თესლი - მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Pisum sativum</i> L.	მუხუდო, ბარდა, მინდვრის ბარდა, ცერცვი, ღედაარ (სვან.), ისაბ (სვან.)	თესლი - მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Robinia pseudoacacia</i> L.	აკაცია, ცრუაკაცია, ეკლის ხე	ყვავილი - თაფლოვანი ნაყოფი, უმად ყვავილი, ნორჩი ღერო - მწნილად (დუღილით)	ტყის, ბალ- ბოსტნის
<i>Thymus colinus</i> Bieb.	ქონდარი	ფოთლები - ჩაი	ტყის
<i>Trifolium</i> sp.	სამყურა	ფოთლები, ყვავილი - ფხალი ყვავილი - თაფლოვანი	ტყის
<i>Trigonella caerulea</i> (L.) Ser.	ულუმბო, უცხო სუნელი, შამბრიკა (სვან.)	თესლი, ფოთლები - სვანური მარილის ინგრედიენტი, სანელებელი, ფხალი	ბალ-ბოსტნის
<i>Vicia faba</i> L.	ცერცვი, როგი (სვან.)	თესლი - მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Vicia sativa</i> L.	ჭევუნტელაი	ფოთლები - საწებაი	ბალ-ბოსტნის
<i>Vigna angularis</i> (Willd.) Ohwi & H. Ohashi	აზუკი, საკადრისა	თესლი - მოხარშული	ბალ-ბოსტნის
Fagaceae			
<i>Castanea sativa</i> Mill.	წაბლი, წაბლა, ჭიფერ, ჩვეულებრივი წაბლი, ჭუბური	თესლი, ფოთლები ფხლად, მოხარშული	ტყის, ბალ- ბოსტნის
<i>Fagus orientalis</i> Lipsky	წიფელი, წიფელა, აღმოსავლური წიფელი, თარსი-ბალოს (ოს.)	თესლი, ფოთლები ფხლად, copked	ტყის
<i>Quercus iberica</i> M. Bieb.	მუხა, ნილე, ქართული მუხა	თესლი - copoked	ტყის
Gentianaceae			

<i>Swertia iberica</i> Fisch & C.A. Mey.	გაბლუარაი	ფოთლები - ჩავე	ტყის
Geraniaceae			
<i>Erodium cicutarium</i> (L.) L'Hér. ex Aiton	სავარცხელა, ბატიფეხა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Geranium robertianum</i> L.	ნემსიწვერა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Geranium</i> sp.	ნემსიწვერა, ოქროსბეჭედა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
Grossulariaceae			
<i>Grossularia reclinata</i> (L.) Mill.	ხურტკმელი	ნაყოფი, უმად, კომპოტი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Ribes biebersteinii</i> Berl. ex DC	მოცხარი, მენცხვარი (სვან.), ხუნწი (თუშ.)	ნაყოფი, უმად, მურაბა ფოთლები - ჩაი	ტყის
<i>Ribes grossularia</i> L.	ოფლეენდ (სვან.)	ნაყოფი, უმად, კომპოტი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Ribes nigrum</i> L.	მოცხარი, შავი მოცხარი	ნაყოფი, უმად, მურაბა	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Ribes orientale</i> Desf.	ალუდა	ნაყოფი, უმად, მურაბა	ტყის
<i>Ribes rubrum</i> L.	მოცხარი, წითელი მოცხარი, ალუდა, ჩვეულებრივი მოცხარი, მერცხალა, მთის ყურძენი, ჩხარაზი	ნაყოფი, უმად, კომპოტი, მურაბა ფოთლები- ფხალი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Ribes</i> sp.	მოცხარი, სმაროდინა, ხუნწი (თუშ.)	ნაყოფი, უმად, მურაბა	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Ribes uva-crispa</i> L.	ხურტკმელი, ოფლანდ (სვან.)	ნაყოფი, უმად, მურაბა	ბალ-ბოსტნის, ტყის
Guttiferae			
<i>Hypericum perforatum</i> L.	კრაზანა	ყვავილი, ფოთლები - ჩაი, ლუდის ინგრედიენტი	ტყის, ბალ-ბოსტნის
Indet.			
	აქარა	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
	ბრასიზ	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
	წაპუი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
	დედოფალა (სვან.)	ნაყოფი, უმად	ტყის
	ვირდუცა	Sten - მწნილად (დუღილით)	ტყის

	ზესტრულა	ფოთლები ფხლად	ტყის
	ნესგვლა (სვან.)	ფოთლები ფხლად	ტყის
	ცუჟლა (სვან.)	ფოთლები ფხლად	ტყის
	ჯოჩოლა	ფოთლები ფხლად	ტყის
	ჰაინერ (სვან.)	ფოთლები ფხლად	ტყის
	(სმხ.)	ნაყოფი, უმად	ტყის
	(სმხ.)	ღერო - მწნილად (დუდილით)	ტყის
	(სმხ.)	ნაყოფი, უმად	ტყის
	(სმხ.)	ნაყოფი, უმად	ტყის
	(სმხ.)	ნაყოფი, უმად	ტყის
	ჭარეში	ფოთლები ფხლად	ტყის
	თვილი	ნაყოფი, უმად	ტყის
	ბარიშინდი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
	კაკია	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
	კარეული ჩიჩმატი	ნაყოფი, უმად	ტყის
	მიციჩალა	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
	მწვანე მალვალი	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
	ნეგომალი	ფოთლები ფხლად	ტყის
	საკრანა	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
	სოდიტზ	ფოთლები ფხლად	ტყის
	ფთაშეჭრილა, მინდვრის ფხალი	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
	ჩაილოვა	ფოთლები - ფხლოვანა	ტყის
	ჭერანი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
	ხოტმილავშა	ფოთლები - ფხლოვანა	ტყის
Iridaceae			
<i>Crocus sativus</i> L.	ზაფრანა	ყვავილი - უმად	ბალ-ბოსტნის
Juglandaceae			
<i>Juglans mandshurica</i> Maxim.	პეკანი	თესლი - უმად ნაყოფის - ჩაი	ბალ-ბოსტნის

<i>Juglans regia</i> L.	ნიგოზი, ჰეჭე, ჩვეულებრივი კაკლის ხე, ეკლის ხე, ცრუკაკია, კაკალი (სვან.)	თესლი - უმად, ფხალი, სვანური მარილის ინგრედიენტი, Churchkhela ნაყოფი - ჩაი, სანელებელი, მურაბა	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Pterocarya pterocarpa</i> (Michx.) Kunth ex Iljinsk.	ლაფანი	თესლი - უმად	ბალ-ბოსტნის
Lamiaceae			
<i>Lamium album</i> L.	ჭინჭრის-დედა, ჯიმჭრის მაცილობელი მერმერხელოოდ, დედაბრისკონკა, ფსრამოთ (ოს.)	მთელი მცენარე, ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Leonotis leonurus</i> (L.) R. Br.	ლეონტისი	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Mentha aquatica</i> L.	პიტნა, ტენცო	ფოთლები - სანელებელი	ტყის
<i>Mentha longifolia</i> (L.) L.	ტყის პიტნა, ვირიპიტნა (ვირიპიტნა), შანტალი პიტნაი (თუშ.)	ფოთლები, ღერო ფხლად, ჩავე, ჩაი, სანელებელი, ტყემალი	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Mentha pulegium</i> L.	ომბალო, პიტნა, ყვალმინთა	ფოთლები, ღერო ფხლად, სულგუნის საკმაზი, ჩაი, სანელებელი	ბალ-ბოსტნის
<i>Mentha</i> sp.	პიტნა	ფოთლები, ღერო - სანელებელი	ბალ-ბოსტნის
<i>Mentha x piperita</i> L.	ბალის პიტნა, პიტნა, ყვალმინთა	ფოთლები ფხლად, ჩაი, სვანური მარილის ინგრედიენტი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Nepeta mussinii</i> Spreng.	პიტნა	ადამიანის საკვები - ჩაი	ტყის
<i>Ocimum basilicum</i> L.	რეჰანი, შაშკულავი, საშტრამი	ფოთლები ფხლად, სვანური მარილის ინგრედიენტი, სანელებელინაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Ocimum basilicum</i> var. <i>purpurascens</i> Benth.	რეჰანი, წითელი რეჰანი	ფოთლები, ღერო - სანელებელი	ბალ-ბოსტნის
<i>Origanum vulgare</i> L.	თავშავა	ფოთლები, ღერო - ჩაი, ingredient of ლუდი, ფხალი, სანელებელი, სანელებელი sold	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Salvia verticillata</i> L.	დაჯირა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Satureja hortensis</i> L.	ქონდარი, ქონდარი ბალისა	ფოთლები, ღერო ფხლად, ჩაი, სვანური მარილის ინგრედიენტი, სანელებელინაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Satureja laxiflora</i> K. Koch	მინდვრის ქონდარი, ტყის ქონდარი	ფოთლები, ღერო ფხლადნაყოფი, უმად	ტყის
<i>Satureja spicigera</i> (C. Koch) Boiss.	ტყის ქონდარი, ომბალო, ონჭო, ჭვინი (სვან.), ჭვინ (სვან.)	ფოთლები, ღერო ფხლად, ჩაი, სვანური მარილის ინგრედიენტი, სანელებელი	ტყის

<i>Thymus caucasicus</i> Willd. ex Benth.	ქონდარი, ბეგქონდარა (თუშ.)	ფოთლები, ღერო - ჩაი, - სანელებელი	ტყის
<i>Thymus collinus</i> Bieb.	ქონდარი, ბეგქონდარა (თუშ.)	ფოთლები - სანელებელი, ფხალი	ტყის
<i>Thymus</i> sp.	ქონდარი, Zetron (სმხ.), მინდვრის ქონდარი	ფოთლები - ჩაი, ფხალი	ტყის
<i>Thymus transcaucasicus</i> Ronninger	ბეგქონდარა (თუშ.), (სმხ.),	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Ziziphora puschkinii</i> Adams.	ურცი, ქონდარი, ბეგქონდარა (თუშ.)	ფოთლები - ჩაი	ტყის
<i>Ziziphora serpyllacea</i> M. Bieb.	ურცი, ბეგქონდარა (თუშ.)	ფოთლები - ჩაი, ადამიანის საკვები - სანელებელი, ადამიანის საკვები - ფხალი	ტყის
Lauraceae			
<i>Laurus nobilis</i> L.	დაფნა	ფოთლები ფხლად, ადამიანის საკვები - სანელებელი	ბალ-ბოსტნის
<i>Persea americana</i> Mill.	ავოკადო	ნაყოფი - უმად	ბალ-ბოსტნის
Liliaceae			
<i>Fritillaria lutea</i> Mill.	ყვითელი ღვინა, დათვკიტრა	ყვავილი - უმად	ტყის
<i>Gagea</i> sp.		ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Lilium szovitsianum</i> Fisch. & Avé-Lall.	მთის შროშანი, თიორში, კიტრა	ფოთლები, ღერო- ფხალი	ტყის
Linaceae			
<i>Linum usitatissimum</i> L.	ქუმელი, სელი	თესლი - უმად, მოხარშული, ზეთი	ბალ-ბოსტნის
Lythraceae			
<i>Punica granatum</i> L.	ბროწეული, ბერწული	ნაყოფი, უმად, ტყემალი	ბალ-ბოსტნის, ტყის
Malvaceae			
<i>Alcea rosea</i> L.	ბალის ტუხტი, რუსული მოლოქა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Althaea</i> spp.	ტუხტი	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Malva erecta</i> Presl.	ბალბა, მოლოქა, Kej (სმხ.)	ფოთლები, ღერო ფხლად, ფხლოვანა	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Malva neglecta</i> L.	ბალბა, მოლოქა, Kej (სმხ.)	ფოთლები, ღერო ფხლად, ფხლოვანა	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Tilia begoniifolia</i> Stev.	ცაცხვი	ყვავილი - ჩაი	ტყის

<i>Tilia caucasica</i> Rupr.	ცაცხვი, კავკასიური ცაცხვი	ყვავილი - ჩაი, თაფლოვანი ფოთლები ფხლად	ტყის
Melanthiaceae			
<i>Veratrum lobelianum</i> Bernh.	ხაპუტრაკა, შხამა	ფოთლები ფხლად	ტყის
Moraceae			
<i>Ficus carica</i> L.	ლელვი, ჩიტლელვი, შავლელვა, თეთრლელვა, ლული	ნაყოფი - მურაბა, უმად, არყის სახდელად	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Morus alba</i> L.	თუთა, ჟოლი	ნაყოფი - მურაბა, უმად, არყის სახდელად	ბალ-ბოსტნის
<i>Morus nigra</i> L.	ჟოლი	ნაყოფი - მურაბა, უმად, არყის სახდელად	ბალ-ბოსტნის
Musaceae			
<i>Musa x paradisiaca</i> L.	ბანანი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
Myrtaceae			
<i>Acca sellowiana</i> (O. Berg.) Burret	ფეიხოა	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
Oleaceae			
<i>Fraxinus excelsior</i> L.	იფანი	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Ligustrum vulgare</i> L.	კვიდო	ნაყოფი, უმად	ტყის
Onagraceae			
<i>Chamaerion angustifolium</i> (L.) Holub.	თხაწართხალა	ფოთლები - ფხლოვანა	ტყის
Onocleaceae			
<i>Matteuccia struthiopteris</i> (L.) Tod.	ჩადუნა, გვიმრა, მუჩი (სვან.), Мыча (რუს.)	ფოთლები, ღერო - მწნილად (დუდილით), ფხალი	ბალ-ბოსტნის
Orobanchaceae			
<i>Pedicularis</i> sp.	სატილია, კიტრაფურცელა	ფოთლები ფხლად	ტყის
Oxalidaceae			
<i>Averrhoa carambola</i> L.	კარამბოლი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Oxalis acetosella</i> L.	მჟაველა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Oxalis corniculata</i> L.	მჟაველა	ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
Papaveraceae			
<i>Papaver somniferum</i> L.	ყაყაჩო, ღაჟღაჟა, სრხდიდინა (ოს.)	მთელი მცენარე, Buds, ყვავილი, თესლი, ფოთლები, ღერო - ხინკალში, ფხალი	ბალ-ბოსტნის, ტყის

Phytolaccaceae			
<i>Phytolacca americana</i> L.	ჭიაფერა	ნაყოფი - ღვინო ფოთლები, ღერო მწნილად (დუღილით), ფხალი	ტყის, ბალ- ბოსტნის
Pinaceae			
<i>Abies nordmanniana</i> (Steven) Spach	სოჭი, ჭიშხ (სვან.)	ტოტები, ფოთლები - ჩაი, ფხალი	ტყის
<i>Cedrus</i> sp.	კედარი	ახალგაზრდა გირჩები - მურაბა	ბალ-ბოსტნის
<i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	ნაძვი	ფისი - კევად ფოთლები, ახალგაზრდა გირჩები - ფხალი	ტყის
<i>Pinus kochiana</i> Klotzsch ex K. Koch	ფიჭვი, ხალცუცა	ფოთლები, ახალგაზრდა გირჩები - ფხალი, ახალგაზრდა გირჩები - მურაბა ქერქი - შიმშილობის დროს საკვები	ტყის
Piperaceae			
<i>Piper nigrum</i> L.	პილპილი	თესლი - სვანური მარილის ინგრედიენტი	მაღაზიდან
Plantaginaceae			
<i>Plantago major</i> L.	მრავალმარღვა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Valeriana officinalis</i> L.	გულბანდი (თუშ.)	ფოთლები - ჩაი	ტყის
Poaceae			
<i>Avena sativa</i> L.	შვრია, ზინთხ (სვან.)	თესლი - უმად და მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Bambusa</i> sp.	ბამბუკი	ნორჩი ღერო - მწნილად (დუღილით)	ბალ-ბოსტნის
<i>Digitaria milanjana</i> (Rendle) Stapf	ფეტვი, წვინი (სვან.)	თესლი - მოხარშული, Phetveer, ღომი, ფქვილი	ბალ-ბოსტნის
<i>Echinochloa crus-gallii</i> L.	ჯალაყინი	ფოთლები, ღერო - სალათი	ტყის
<i>Hordeum vulgare</i> L.	ქერი, მუხუდო, ჭმინ (სვან.)	თესლი - ლუდი, არყის სახდელად, ფქვილი	ბალ-ბოსტნის
<i>Hordeum vulgare</i> L. ssp. <i>vulgare</i> L. var. <i>coelestre</i> L.	ქერშველი	თესლი - ფქვილი	ბალ-ბოსტნის
<i>Secale cereale</i> L.	ჭვავი, მუხუდო, მანააშ (სვან.), სვილი	თესლი - ლუდი, არყის სახდელად, ფქვილი	ბალ-ბოსტნის
<i>Setaria italica</i> (L.) P. Beauv.	ღომი, ფეტვი, ლუმუშ, ლუმ	თესლი - ღომი, ფქვილი	ბალ-ბოსტნის
<i>Sorghum bicolor</i> (L.) Moench	ჩვეულეზრივი სორგო	თესლი - ფქვილი	ბალ-ბოსტნის
<i>Triticum aestivum</i> L.	ხორბალი, დიკა	თესლი - ფქვილი, ლუდი, არყის სახდელად	ბალ-ბოსტნის
<i>Triticum carthlicum</i> Nevski	დიკა	თესლი - ფქვილი	ბალ-ბოსტნის

<i>Triticum dicoccum</i> Schrank ex Schübel	ასლი	თესლი - ფქვილი	ბალ-ბოსტნის
<i>Triticum</i> sp.	ხორბალი, ქობალი	თესლი - ფქვილი	ბალ-ბოსტნის
<i>Zea mays</i> L.	სიმინდი, ტკუჩა სიმინდი, ლაიტი	თესლი - ფქვილი, Popcorn, ღომი	ბალ-ბოსტნის
Polygonaceae			
<i>Fagopyrum tataricum</i> (L.) Gaertn.	წიწიბურა, ტრუპკა	თესლი - მოხარშული	ბალ-ბოსტნის
<i>Koenigia alpina</i> (All.) T.M. Schust. & Reveal	წართხალი, ლევირ (სვან.), ჰარდლი (სვან.), ვერდელი (სვან.), ჭიჭიშვილი	ფოთლები, ღერო ფხლად, ფხლოვანა, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Koenigia panjutini</i> (Kharkev.) T.M. Schust & Reveal	პანიუტინის მატიტელა, ვერდელი (სვან.)	ღერო უმად	ტყის
<i>Polygonum aviculare</i> L.	მატიტელა	ფოთლები ფხლად	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Polygonum carneum</i> C. Koch	დვარულა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Polygonum</i> sp.	მამლაყინწა	ფოთლები ფხლად	ტყის
<i>Rheum rhabarbarum</i> L.		ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Rumex acetosa</i> L.	მჟაუნა, მწყემსთმჟავია, ყანის მჟავია, ტელეფ (სვან.), (სმხ.), (სმხ.)	ფოთლები, ღერო ფხლად, მწნილად (დუღილით), საწებაი	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Rumex acetosella</i> L.	მჟაუნა, კოკომჟავა	ფოთლები ფხლად, ფხლოვანა	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Rumex alpinus</i> L.	ღოღო, ოღვალო გუროიაში, კოკომჟავა აჭარაში, მთის ღოღო, ტელეფი, ჭირტალი (თუშ.), საგუგა (თუშ). Kvalo (სმხ.)	ფოთლები, ღერო ფხლად, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Rumex crispus</i> L.	ღოღო, Kvalo (სმხ.)	ფოთლები, ღერო ფხლად, ჩავე, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Rumex scutatus</i> L.	ლახტარა, ქვიშის მჟავია, ჟამღ	ფოთლები, ღერო ფხლად, ფხლოვანა, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Rumex</i> sp.	ღოღო, მთის ღოღო, ღოღ	ფოთლები, ღერო ფხლად, მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Rumex tuberosus</i> L.	მჟაუნა	ფოთლები - სანელებელი	ტყის
Polypodiaceae			
<i>Polypodium vulgare</i> L.	ძირტკბილა, კილამორა	ფესვი - დამატკობელინაყოფი, უმად	ტყის
Portulacaceae			

<i>Portulaca oleracea</i> L.	დანდური, სუქანა, კატკატო	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
Primulaceae			
<i>Cyclamen vernum</i> Sweet	ყოჩივარდა	ფესვი - მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Primula luteola</i> Rupr.	ვაშლისულა (თუშ.)	ფოთლები - საწებაი	ტყის
<i>Primula</i> sp.	ფურისულა, ფილისუნა, თიკნიყურა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Primula vulgaris</i> subsp. <i>rubra</i> (Sm.) Arcang.	ფურისულა, საწრიპინა	ფოთლები, ყვავილი - ფხალი	ტყის
<i>Primula veris</i> subsp. <i>macrocalyx</i> (Bunge) Lüdi	ფურისულა, ვაშლისულა (თუშ.)	ფოთლები, ღერო - მწნილად (დუღილით), ფხალი, ჩავე	ტყის
<i>Primula woronowii</i> Losinsk.	ტყის ფურისულა, ფურისულა, ბაბილო, ვაშლისულა (თუშ.)	ფოთლები ფხლად	ტყის
Ranunculaceae			
<i>Adonis aestivalis</i> L.	მეკენძალა, ცხვირისატეხელა	ფოთლები, ღერო ფხლად	ტყის
<i>Clematis vitalba</i> L.	ინგრიხე, სისიბარკლა, ციცაბალბა (სვან.)	ფოთლები, ღერო, ტოტები - ფხალი	ტყის
<i>Ranunculus repens</i> L.	ნიახურა, წყლის ნიახურა	მთელი მცენარე - ფხალი	ტყის
Rhamnaceae			
<i>Oreoherzogia imeretina</i> (Booth, Petz. & Kirchn.) W. Vent.	იმერული ხეჭრელი, გოგოსა	ნაყოფი, უმად	ტყის
<i>Ziziphus jujuba</i> Mill.	უნაბი, ურნაბი	ნაყოფი, უმად	ბაღ-ბოსტნის, ტყის
Rhododendraceae			
<i>Rhododendron caucasicum</i> Pall.	დეკა, შქერი (სვან.)	ტოტები, ფოთლები, ყვავილი - ლუდის ინგრედიენტი, ჩაი, საწებაი	ტყის
<i>Rhododendron luteum</i> Sweet	იელი, ელი, დეკა	ყვავილი, ნაყოფის - ჩაი	ტყის
<i>Rhododendron ponticum</i> L.	შკერი, შკმერი, შქერი (სვან.)	ფოთლები - ჩაი, ფხალი	ტყის
Rosaceae			
<i>Amygdalus communis</i> L.	ვაშლატამა	ნაყოფი, უმად	ბაღ-ბოსტნის
<i>Aruncus vulgaris</i> Raf.	მეკენძალა, ნეკენძალა, აჯორიკა, მეჭეხი (სვან.)	ფოთლები, ტოტები, ყვავილი, ღერო - მწნილად (დუღილით), ფხალი	ტყის, ბაღ-ბოსტნის
<i>Cotoneaster multiflorus</i> Bunge	ვაშლანა	ნაყოფი, უმად	ტყის
<i>Crataegus curvisepala</i> Lindm.	კუნელი, კვინელი, ჯოლიორიშ კურკანტელა (ჯოლიორიშ კურკანტელა), ბუცანცი, თეთრი კუნელი, შავი	ნაყოფი, უმად, კომპოტი ნაყოფი, ფოთლები, ყვავილი - ჩაი	ტყის

<i>Crataegus pentagyna</i> Waldst.	კუნელი, შავი კუნელი, კუნელი (სვან.), შავი	ყვავილი, ნაყოფი - ჩაი	ტყის
<i>Crataegus</i> sp.	კუნელი	ნაყოფი, ფოთლები, ყვავილი - ჩაი	ტყის
<i>Cydonia oblonga</i> L.	კომში, ზია, მახრჩობელა, ვაშლა, Tsamala (სმხ.)	ნაყოფი, უმად, მურაბა, კომპოტი	ბალ-ბოსტნის
<i>Fragaria indica</i> Andrews	გველის მარწყვი, ტყარ ცემუა	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Fragaria vesca</i> L.	მარწყვი, ტყის მარწყვი, ცხევი ხილ (სვან.)	ნაყოფი, უმად, მურაბა, მწნილად, ტყემალი	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Fragaria vesca</i> L. Alibaba	მარწყვი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Fragaria virginiana</i> Mill.	ხენდრო, ბალის მარწყვი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Fragaria x ananassana</i> Duchesne ex Rozier	მარწყვი, ბალის მარწყვი, ხენდრო, ბასყ (სვან.)	ნაყოფი, ყვავილი - უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Malus orientalis</i> Uglizk.	ვაშლი, მაჟალო, პანტა-ვაშლი, პანტე უშქური, ვისგვ (სვან.)	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, სვანური მარილის ინგრედიენტი, მურაბა, ტყლაპი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Malus domestica</i> (Suckow) Borkh.	სამოთხის ვაშლი	ადამიანის საკვები	ბალ-ბოსტნის
<i>Mespilus germanica</i> L.	სხმარტლი, ზღმარტლი, ყირიპ, ცქუმუნტური, ჟუნტუ, მონტლე	ნაყოფი, უმად, მურაბა	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Prunus armeniaca</i> L.	გარგარი, ჭერამი, Kypara (რუს.)	ნაყოფი, უმად, მურაბა, კომპოტი	ბალ-ბოსტნის
<i>Prunus avium</i> (L.) L.	ბალი, ბალამწარა, კახამბალი, ხართვალა (ხართვალა), მამბალა, მწარე ბალი, ჟიშხა, ველური ბალი, ჰებრა (სვან.), ცხეკიმ (სვან.)	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Prunus cerasus</i> L.	ალუბალი ვიშნაბალი, ბალი, კახამბალი	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, კომპოტი, მურაბა ფოთლები ფხლად	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Prunus divaricata</i> Ledeb.	ტყემალი, გულდედავას ტყემალი, კორკიმელი, ოტური, ტიყი, წითელი ტყემალი, ბარყვენდ (სვან.)	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, ტყემალი, ღვინო, მურაბა, კომპოტი, ტყლაპი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Prunus insititia</i> L.	ლოღნოშო, მურაკი	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, ღვინო	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Prunus laurocerasus</i> L.	წყავი, ჭქორი, წყი	ნაყოფი, უმად, ღვინო ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Prunus padus</i> L.	შოთხვი	ნაყოფი, უმად, მურაბა	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Prunus persica</i> (L.) Batsch	ატამი	ნაყოფი, უმად, მურაბა, კომპოტი, არყის სახდელად	ბალ-ბოსტნის

<i>Prunus</i> sp.	ქლიავი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Prunus spinosa</i> L.	კვრინჩხი, ტყის მურაკი	ნაყოფი, უმად, ჩავე, არყის სახდელად	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Prunus vachuschtii</i> Bregaze	ალუჩა	ნაყოფი, უმად, ტყლაპი	ბალ-ბოსტნის
<i>Prunus x domestica</i> L.	ქლიავი, ჭანჭური	ნაყოფი, უმად, მურაბა, არყის სახდელად, მწნილად, კომპოტი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Pyracantha coccinea</i> M. Roem.	ჩიტავაშლა, სირვაშლა	ყვავილი - ჩაი	ტყის
<i>Pyrus caucasica</i> Fed.	პანტა, პანტა-მსხალი, ჯარჭი, მსხალი, პანტე სხული	ნაყოფი, უმად, მურაბა, არყის სახდელად, ფხალი, სიროპი	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Pyrus communis</i> L.	მსხალი, იცხი (სვან.)	ნაყოფი, უმად, მურაბა, არყის სახდელად, მწნილად ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
<i>Raphiolepis bibas</i> (Lour.) Galasso & Banfi	მუმმალა, იაპონური ზღმარტლი, მუმმულა	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Rosa canina</i> L.	ასკილი	ნაყოფი - ჩაი, არყის სახდელად, მურაბა, ლუდის ინგრედიენტი	ტყის
<i>Rosa pimpinellifolia</i> Boiss.	შავი ასკილი, ასკილი	ნაყოფი, უმად, ჩაი, ლუდის ინგრედიენტი	ტყის
<i>Rosa</i> sp.	ასკილი	ნაყოფი, ყვავილი - უმად, ჩაი, მურაბა, არყის სახდელად ყვავილი და ფოთლები - ჩაი	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Rubus caesius</i> L.	მაღლმაცვალა, მაცვალი	ნაყოფი, უმად	ტყის
<i>Rubus fruticosus</i> L.	რუსული მაცვალი, მაცვალი, უეკლო მაცვალი, ბარდი, Малина (რუს.)	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, მურაბა, კომპოტი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Rubus idaeus</i> L.	ჟოლო, ჟოლი, ხვაფა (თუშ.), ინლა (სვან.), იმღვა (სვან.), Малина (რუს.)	ნაყოფი, უმად, მურაბა, კომპოტი ფოთლები - ჩაი	ბალ-ბოსტნის, ტყის
<i>Rubus saxatilis</i> L.	ხახამა, ჟოლის-დედა, მწყერთიფქლა, წერტიფხლა	ნაყოფი, უმად, ჩავე	ტყის
<i>Rubus</i> sp.	მაცვალი, მუია, მუყი, ვიღვი (სვან.), უღვ (სვან.)	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, მურაბა	ტყის, ბალ-ბოსტნის
<i>Sorbus aucuparia</i> K. Koch	ჭნავე (მუყი), მწორო, ცირცელი, ჭვაპა, ჭვაპა	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, მურაბა	ტყის
<i>Sorbus boissieri</i> C.K. Schneid.	ცირცელი	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, მურაბა	ტყის
<i>Sorbus caucasigena</i> Kom.	ცირცელი, გოგლანდ (სვან.)	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, მურაბა	ტყის, ბალ-ბოსტნის

<i>Sorbus torminalis</i> (L.) Crantz.	დათვისყურა, დატვიხალა, თამელი, მურგუ, მურგვი (სვან.)	ნაყოფი, უმად, არყის სახდელად, მურაბა	ტყის
Rubiaceae			
<i>Coffea arabica</i> L.	ქაფა	თესლი - სასმელი (ყავა)	ბალ-ბოსტნის
Rutaceae			
<i>Citrus limon</i> (L.) Burm. f.	ლიმონი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Citrus reticulata</i> Blanco	მანდარინი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Citrus sinensis</i> Osbeck	ფორთოხალი	ნაყოფი, უმად, მურაბა	ბალ-ბოსტნის
<i>Citrus unshiu</i> Marcov.	მანდარინი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Citrus x paradisi</i> Macfad.	გრეიპფრუტი	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
Salicaceae			
<i>Salix caprea</i> L.	მდგნალი	ღერო - ლუდისთვის მუქი ფერის მისაცემად	ტყის
Sapindaceae			
<i>Acer pseudoplatanus</i> L.	ნეკერჩხალი, თეკრა (სვან.)	ყვავილი - ჩაი	ტყის
Smilacaceae			
<i>Smilax excelsa</i> L.	ეკალიჭი, კალია, მაყალ, ეკალა, ღიჭი, კალია ბარდი	ფოთლები, ნორჩი ღერო - ფხალი, სალათი	ტყის, ბალ-ბოსტნის
Solanaceae			
<i>Alkekengi officinarum</i> Moench	ონტოფა	ნაყოფი, ფოთლები ფხლად ნაყოფი, უმად	ტყის
<i>Capsicum annuum</i> L.	წიწაკა, პიმპილი, მწარე წიწაკა	ნაყოფი, თესლი - უმად, მწნილად (დუდილით), საწელებელი, ტოლმა, სვანური მარილის ინგრედიენტი	ბალ-ბოსტნის
<i>Capsicum annuum</i> L. Sweet Bulgarian	წიწაკა ბულგარული, ტკბილი წიწაკა, წიწაკა წითელი, წიწაკა, ძაფანა (სვან.)	ნაყოფი, უმად, სვანური მარილის ინგრედიენტი	ბალ-ბოსტნის
<i>Lycopersicon esculentum</i> L.	პამიდორი,	ნაყოფი, უმად, მწნილად (დუდილით)	ბალ-ბოსტნის
<i>Solanum melongena</i> L.	ბადრიჯანი	ნაყოფი, ფოთლები, ადამიანის საკვები - ფხალი ნაყოფი - კერძების ინგრედიენტი	ბალ-ბოსტნის
<i>Solanum pseudocapsicum</i> L.		ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Solanum tuberosum</i> L.	კარტოფილი	ტუბერი - მოხარშული, და არყის სახდელად ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
Staphyleaceae			

<i>Staphylea colchica</i> Steven	ჯონჯოლი, ჯონჯოლაჩვეულებრივი ჯონჯოლი, ბოტიყვერა, კაფარი, კამპარი, ნიორკავა (სვან.)	ყვავილი, მწვანე ნაყოფი, მწვანე ღერო - მწნილად (დუღილით)	ტყის, ბალ-ბოსტნის
Taxaceae			
<i>Taxus baccata</i> L.	უთხოვარი, ხერკინა	ნაყოფი - მურაბა	ტყის
Theaceae			
<i>Camelia sinensis</i> L.	ჩაი	ფოთლები - ჩაი	ბალ-ბოსტნის
Tropaeolaceae			
<i>Tropaeolum majus</i> L.		ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის
Ulmaceae			
<i>Ulmus glabra</i> Huds.	თელა	ქერქი - მოხარშული შიმშილობის დროს საკვები	ტყის
Urticaceae			
<i>Urtica dioica</i> L.	ჭინჭარი, ჯიმჭარი, ფსრა, (სმხ.), მერხელ (სვან.)	ფოთლები, ღერო ფხლად, ხინკალში, ფხლოვანა, ჩაი	ტყის
Violaceae			
<i>Viola arvensis</i> L.	პატარძალა	ფოთლები ფხლად (შენიშვნა: სხვაგან შხამიანად ითვლება)	ტყის
<i>Viola</i> sp.	ია, ია ია	ფესვი - მწნილად (დუღილით) ფოთლები - ფხლოვანა ფოთლები, ღერო, მთელი მცენარე- ფხალი (შენიშვნა: სხვაგან შხამიანად ითვლება)	ტყის
Vitaceae			
<i>Vitis labrusca</i> L.	იზაბელა, ადესა	ნაყოფი, უმად	ბალ-ბოსტნის
<i>Vitis sylvestris</i> W. Bartram	უსურვაზი	ნაყოფი, უმად	ტყის
<i>Vitis vinifera</i> L.	ყურძენი, ჩვეულებრივი ვაზი, ხეჭეჭური, ვაზი	ნაყოფი - ღვინონაყოფი, უმად, Khardali ფოთლები ფხლად	ბალ-ბოსტნის, ტყის
Zingiberaceae			
<i>Elettaria cardamomum</i> (L.) Maton		თესლი სანელებელი	ბალ-ბოსტნის
FUNGI			
Agaricaceae			

<i>Agaricus arvensis</i> Schaeff.	ქამა, ქოქოდოლი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის, ბალ- ბოსტნის
<i>Agaricus campestris</i> L.	მინდვრის სოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Agaricus tabularis</i> Peck	ცვარიო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Bovista</i> sp.	ყვავთკუსა, ფიჭვნარა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Bovista</i> sp. / <i>Lycoperdon</i> sp.	გუდაფშუტა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Bovista gigantea</i> (Batsch) Gray (<i>Calvatia gigantea</i> (Batsch) Lloyd.)	ცვარიო, ფურფაშა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Coprinus comatus</i> (O.F. Müll.) Pers.	მერცხალა, გველის სოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Lycoperdon perlatum</i> Pers.	მალათუ	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Lycoperdon pyriforme</i> Schaeff.	მალათუ	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Macrolepiota procera</i> (Scop.) Springer	წერეწო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Amanitaceae			
<i>Amanita caesarea</i> (Scop.) Pers.	ნიყვი, წითელქუდა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Amanita muscaria</i> (L.) Lam.	წითელი შხამასოკო	ნაყოფსხეული მოხარშული (შენიშვნა: სხვაგან შხამიანად ითვლება)	ტყის
Auriculariaceae			
<i>Auricularia auricula-judae</i> (Bull.) Quéf.	მურყანისოკო, გერდა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Bankeraceae			
<i>Hydnum repandum</i> L.	ირმისტუჭა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Sarcodon imbricatus</i> (L.) P. Karst.	ირემა სოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Boletaceae			
<i>Boletus edulis</i> Bull.	დათიკა სოკო, [დათვის სოკო, ძირბუკა, დათვა სოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Leccinum scabrum</i> (Bull.) Gray	დედაბერა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Neoboletus erythropus</i> (Pers.) C. Hahn. (<i>Boletus erythropus</i> Pers.)	წითელფეხა, ხუშხუშა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის

Cantharellaceae			
<i>Cantharellus cibarius</i> Fr.	მიქლიო, მიქულა (სვან.)	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Clavariadelphaceae			
<i>Clavariadelphus pistillaris</i> (L.) Donk	მინდურისია	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Cortinariaceae			
<i>Cortinarius violaceus</i> (L.) Fr. Gray	ლურჯკაბა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Fistulinaceae			
<i>Fistulina hepatica</i> (Schaeff.) With.	გვიძლა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Fungi indet.			
	კოჯობა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თეტრისოკხო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თვანასოხო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	Родственница (რუს.)	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	არჩექალი	ნაყოფსხეული მწნილად (დუღილით)	ტყის
	ბუხმისოხო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	გოგოჭარჩა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	ვიტელი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თალიჩა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თაში	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თელასოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თვინინელი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თიანასოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თიასოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თიკნიყურა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თიორული	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	თშადასოხო	ნაყოფსხეული მოხარშული	ბაღ-ბოსტნის
	ირალა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	ირტელისოხო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის

	კველა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	კრუსე	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	კურილაზკატუმო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	ლარგი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	მანსიტო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	მარნულა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	მატსუკალა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	მილიგაუმაჩი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	მიტისოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	მიწის კალმახი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	მუსლიანკა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	მწარია	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	ნიჯული	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	პილპილა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	საყლავა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	სერანა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	სერჭა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	ფიჭვა სოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	შანცკავა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	ცვილისოხო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	ციპკელა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	ცხვარა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	წაპლისოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	წიანასოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	ჭრელკაბა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
	ხეთამხალი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Gomphaceae			
<i>Ramaria flava</i> (Schaeff.) Quél.	ირმის რქა, საჩიჩელა (სვან.)	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Hericiaceae			
<i>Hericum erinaceus</i> (Bull.) Pers.	ეშმაკის ბურნუთი, გუდასოკო (თუშ.)	ნაყოფსხეული - მოხარშული	ტყის

Lepiotaceae			
<i>Macrolepiota procera</i> (Scop.) Springer	წერეწო, ხუშხუშა, ხარხუშა, წეროსწვივა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Marasmiaceae			
<i>Marasmius oreades</i> (Bolton) Fr.	წრიალა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Morchellaceae			
<i>Morchella conica</i> Pers	ხარისფაშვა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Morchella esculenta</i> (L.) Pers.	ხარისფაშვა, თრიფელი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Physalacriaceae			
<i>Armillariella mellea</i> (Vahl) P. Kumm	მანჭკვალა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Pleurotaceae			
<i>Pleurotus cornucopiae</i> (Paulet) Rolland	მაჩალოსოკო, მაღვალი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Pleurotus ostreatus</i> (Jacq. ex Fr.) P. Kumm	კალმახა, ციპლისოხო ხის სოკო, ტყუბულ (სვან.)	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Pluŕoaceae			
<i>Pluteus cervinis</i> (Schaeffer ex Fr.) P. Kumm.	ირმის რქა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Polyporaceae			
<i>Polyporus squamosus</i> (Huds.) Fr.	ძერანა, ძერა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Psathyrellaceae			
<i>Coprinopsis atramentaria</i> (Bull.) Redhead, Vilgalys & Moncalvo	მელანა, სილიო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Ramariaceae			
<i>Ramaria flava</i> (Schaeff.) Quél.	საჩეჩელა, ბაწარა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Russulaceae			
<i>Lactarius deliciosus</i> (L. ex Fr.) S.F. Grey	მჭადა, ჭადა, ჭადა, ჭკადუა, ჭადუა (სვან.)	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Lactarius piperatus</i> (L.) Pers.	არქასოხო, პაჭიჭა, არყა, არყაი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის

<i>Lactifluus piperatus</i> (L.) Roussel	ბერუითავი (სვან.)	ნაყოფსხეული მოხარშული და მწნილად (დუღილით)	ტყის
<i>Lactifluus volemus</i> (Fr.) Kuntze	მჭადა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Russula adusta</i> (Pers.) Fr.	ჩოხაშავა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Russula emetica</i> (Schaeff.) Pers.	ბლავანა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Russula rosea</i> Pers.	წითლი	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Russula virescens</i> (Schaeff.) Fr.	ხახვილო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Strophariaceae			
<i>Hypholoma fasciculare</i> (Huds.) P. Kumm.	მატქუქრქ	ნაყოფსხეული მოხარშული (შენიშვნა: სხვაგან შხამიანად ითვლება)	ტყის
Sparassidaceae			
<i>Sparassis crispa</i> Wulfen	კომბუოსტოსოკო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Suillaceae			
<i>Suillus granulatus</i> (L.) Roussel	დუმა სოკო, Маслята (რუს.)	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Suillus luteus</i> (L.) Roussel	ზეთიანა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
Tricholomataceae			
<i>Lepista sordida</i> (Schumach.) Singer	ლრუბელა, მელნისძირა, მელანო	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Tricholoma aurantium</i> (Schaeff.) Ricken	ხოხბის მკერდი, ხოხბისმკერდა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის
<i>Tricholoma portentosum</i> (Fr.) Quél.	შავჩოხა, თავუნა	ნაყოფსხეული მოხარშული	ტყის

ჩავე: მზადდება გამხმარი ბალახებისგან, ემატება ფქვილი, ცხიმი (ხორცთან ან მის გარეშე) და მარილი:

ტოლმა: ვაზის, კომბოსტს ან სხვა ფოთოლში გახვეული დაკეპილი ხორცი სანელებლებით

მხლოვანა, ფხლოვანა: მზადდება ხაჭაპურივით, ცომში იდება ფხალეული (მაგ. ჭარხლის ფოთლები, სხვა ბალახეული), შეიძლება ყვლითაც ხაჭაპური: ცომში ჩადებული ყველი

ხინკალი: ცომში გახვეული დაკეპილი ხორცი სანელებლებით, მოხარშული

ფხალი: მოხარშული და დაკეპილი მცენარეული მასა, შენელებული


საწებაი: ნედლი ბალახეული, ამოვლებული დოში, რძეში, რძისთავში და ა.შ.

ტყლაპი: მოხარშული და გამშრალი ხილის მასა

მცენარეების გამოყენებას სხვადასხვა მხარეებსა და ზღვის დონიდან სიმაღლეებს შორის ვადარებდით მათი (i) ოჯახის და (ii) გვარის, (iii) სისტემის (ფესვი, ყლორტი, ან ორივე), (iv) საერთო (ვეგეტატიური, რეპროდუქტიული ან ორივე და (v) კერძო (ქერქი, ტოტები, კვირტები, ბოლქვი, გირჩა, ყვავილები, ნაყოფი, ლატექსი, ფოთლები, ფისი, ფესვი, თესლი, ყლორტები, აბრეშუმისებრი ბუსუსები, ღერო, მერქანი, ტუბერი, მთელი მცენარე). ნაწილების მახედვით ჩვენ ასევე შევადარეთ, (vi) თუ რა მიზნით გამოიყენებოდა მცენარე სხვადასხვა მხარესა და ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე. ანალიზიდან გამოვიციხეთ მონაცემები, რომელთათვის არ ხერხდებოდა მცენარის გარკვევა თუნდაც ოჯახის დონემდე და, ასევე, შემთხვევები, როცა გაურკვეველი იყო თუ მცენარის რა ნაწილი გამოიყენებოდა. ჩვენ ასევე გამოვიციხეთ სოკოების და მცენარეების დაუზუსტებელი გამოყენებაც, ანუ როცა ვიცოდით, რომ მცენარე საკვებია, მაგრამ არ ვიცოდით თუ კერძოდ რა სახის საკვებში იყენებდნენ. ჩვენ ვიყენებდით მხარეებს და ხუთ სიმაღლის ზონას (ზღვის დონიდან 0-500 მ, 501-1000 მ, 1001-1500 მ, 1501-2000 მ და 2001-2500 მ), როგორც ორდინაციის ფაქტორებს, რისთვისაც ჩავატარეთ არამეტრული მრავალგანზომილებიანი სკალირება (nMDS) და პერმუტაციული მრავალცვლადიანი ვარიანსას ანალიზი (PERMANOVA), ევკლიდეს მანძილებითა და 999 პერმუტაციით პროგრამა RVAideMemoire საშუალებით (Hervé 2020).

ცხრილი 2. მხარეები, სადაც საველე სამუშაოები ჩატარდა და ჩაწერილი საკვები მცენარეებისა და სოკოების რაოდენობები

მხარე	ჩაწერის სიხშირე	შედეგები
გურია	2125	ჯამში სიაში მოხვდა 527 ტაქსონი, რომელთა დიდი უმრავლესობა სახეობამდე იქნა გარკვეული (ცხრილები 1-2, დანართის ცხრილები 1-2). ხემცენარეებმა შეადგინეს 71 სახეობა (13,47%), ბუჩქებმა - 43 (8,1%), ბალახოვანმა - 333 (60,32%), ლიანებმა - 5 (0,09%), და სოკოებმა - 95 (18,02%). 388 სახეობა იყო ველური, ანუ არაკულტივირებული, თუმცა ზოგი მათგანი იზრდებოდა რუდერალურ ადგილებზე ან ბალბოსტნში როგორც სარეველა. ოცი ჭურჭლოვანი მცენარისა და 45 სოკოს გარკვევა ვერ მოხერხდა და ამიტომ სიაში ისინი მითითებულია, როგორც “Unidentified (გაურკვეველი).” (ცხრილი 1). ტაქსონომიურად, განსხვავება ტყისა და ბალბოსტნის საკვებ მცენარეებს შორის კარგად იყო გამოხატული ოჯახის დონეზე კი. მხოლოდ ერთ მცენარეს ყიდულობდნენ ბაზარზე (პილპილი <i>Piper nigrum</i> , ოთხი ჩანაწერი). 62%-ზე მეტი ჩანაწერებისა (12255) ეხებოდა კულტურულ მცენარეებს, 7352 (37%) კი ველურს და თუმცა ზოგი მცენარეს ტყეშიც აგროვებდნენ და ბალბოსტანშიც იზრდებოდა, ასეთების წილი 1%-ს არ აღემატებოდა (189 ჩანაწერი). ასე, რომ ჩაწერილი მცენარეების დიდი უმრავლესობა (>99%) იყო ან ბალბოსტნის (62%) ან ტყის (37%) სახეობა. ჩანაწერები 41%-ზე მეტი ეხებოდა ნაყოფებს, 21% ფოთლებს, დაახ. 7% თესლს და 5% ნაყოფსხეულებს, ფოთლებსა და ღეროებს, ან ღეროებს. მთლიანი მცენარე იშვიათად გამოიყენებოდა. ყველაზე ხშირად მცენარე წარმოადგენდა ვარდისებრთა (Rosaceae), ქოლგოსანთა (Apiaceae), ტუჩოსანთა (Lamiaceae), ამარილისებრთა (Amaryllidaceae) და ძალყურძენასებრთა (Solanaceae) ოჯახებს. ყველაზე ხშირად ნახსენები გვარები იყო ხახვი (<i>Allium</i>), მსხალი (<i>Pyrus</i>), ვაშლი (<i>Malus</i>) და კომბოსტო (<i>Brassica</i>). სულ 30 უხშირესი სახეობა (მთელი სიის 6%) გამოყენების შემთხვევათა 46%-ს წარმოადგენდა, მაგრამ მხოლოდ ვაშლს <i>Malus orientalis</i> (3.5%), მსხალს <i>Pyrus communis</i> (3.2%), და ვაზს <i>Vitis vinifera</i> (2.7%) ახსენებდნენ გამოყენების 2%-ზე მეტ შემთხვევაში, ხოლო ნაცარქათამა <i>Chenopodium album</i> and ჭინჭარი <i>Urtica dioica</i> იყვნენ (ტყის) ველური სახეობები, რომელთა გამოყენება შემთხვევათა 1%-ზე მეტჯერ ახსენეს. კუთხეების უმრავლესობასა და სიმაღლის ყველა ზონაში უხშირესი გამოყენება ჰქონდა მიწისზედა ნაწილებს (ნახ. 2).
ხევსურეთი	2012	
ზემო სვანეთი	1942	
აჭარა	1866	
თორი	1750	
თუშეთი	1633	
ქვემო სვანეთი	1406	
კახეთი	1085	
ლეჩხუმი	1017	
სამეგრელო	853	
მესხეთი	776	
ქვემო რაჭა	708	
ჯავახეთი	699	
ქვემო ქართლი	678	
ზემო იმერეთი	631	
მთიანეთი	342	
ზემო რაჭა	277	



ნახ. 2. მცენარეთა კერძო ნაწილების (აბრეშუმა ბუსუსები, ბოლქვი, ქერქი, ტოტი, გირჩი, თესლი, კვირტი, ლატექსი, მერქანი, მთელი მცენარე, ტუბერი, ყვავილი, ფესვი, ფისი, ფოთოლი, ღერო, ყლორტი) გამოყენების პრინციპული კომპონენტების ანალიზით (PCA) ორიდინაცია. წვლილი (Contribution) წარმოადგენს თუ რა წვლილი შეაქვს თითოეულ ოჯახს მხარეებს შორის საერთო განსხვავებებში, მათ შორის ორიდინაციული მანძილების მიხედვით. ისრები აჩვენებენ კერძოდ გამოყენებულ ნაწილებს, მცირე წერტილები -- ნიმუშებს და დიდი წერტილები ყოველი მხარის ცენტროიდს.


მცენარეთა უმრავლესობა (65%) მარტივად მზადდებოდა, იჭიმოდა ან ნედლი (55%), ან შემწვარი/მოხარშული (მაგალითად, სოკოთა 8%). გამოყენების ჩანაწერთა მთელი 5% ეხებოდა დამწნილებას (ხშირად ღეროებს), ხოლო 18% ფხლის დამზადებას, 4% სანელებლებს და დაახლოებით 2% არყის ხდას. გამოყენების ყველა დანარჩენ კატეგორიას (35) გაცილებით უფრო იშვიათად ახსენებდნენ.

მცენარეთა ოჯახების სიმდიდრე ბალბოსტნის და ტყის სახეობებისა იყო შესაბამისად 66 და 97 და ეს სხვაობა სტატისტიკურად მაღალმნიშვნელოვანი გამოდგა. მრავალფეროვნების ყველა სხვა ინდექსიც ცალსახად და მაღალმნიშვნელოვნად აჩვენებდა ოჯახების გაცილებით უფრო მაღალ მრავალფეროვნებას ტყის მცენარეებში ბალბოსტნის მცენარეებთან შედარებით (ცხრილი 3).

ცხრილი 3. სხვადასხვა ინდექსით გაზომილი მცენარეთა ოჯახების მრავალფეროვნება P-სიდიდეები გამოთვლილია რანდომიზაციის ტესტით (ანუ პერმიტაციის ტესტით, პროგრამა PAST 4.2)

ინდექსი	ბალ-ბოსტანი	ტყე	P-სიდიდე
დომინანსი, <i>D</i>	0.096	0.053	0.0001
შანონი <i>H</i>	2.709	3.525	0.0001
ერთგვარობა $e^{-H/S}$	0.227	0.346	0.0001
სიმპსონის ინდექსი, $1 - D$	0.904	0.947	0.0001
თანაბრობა <i>J</i>	0.647	0.769	0.0001
ფიშერის ალფა	9.168	15.9	0.0001
ბერგერ-პარკერის ინდექსი, <i>BP</i>	0.219	0.166	0.0001

ბაღბოსტნის მცენარეთა მსგავსების მიხედვით, საქართველოს მხარეები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად, როგორც ეს ჩანს nMDS-ს ორდინაციის დიაგრამაზე (ნახ. 3). ამ ორდინაციაზე, როგორც ჩანს, გავლენას ახდენს დიდი ბაზრების არსებობა: აჭარის, სამეგრელოს, გურიისა და კახეთის დაბლობებს მინიმალური დისტანცია აკავშირებთ ორდინაციის დიაგრამაზე, რაც დიდი ქალაქებისა და შესაბამისად დიდი ბაზრების ზეგავლენის შედეგი უნდა იყოს. ამის საპირისპიროდ, თორი, ზემო სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი და ჯავახეთი ყველაზე შორს სცილდებიან ამ ბაზრებს. დიდ ბაზრებს საშუალოდ შორდებიან ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, მესხეთი, ქვემო ქართლი, ზემო იმერეთი, ზემო და ქვემო რაჭა და მთიანეთი (მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი). თუმცა, ასეთი დაჯგუფების მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ აჭარა, სამეგრელო, გურია და კახეთი კლიმატურად ყველაზე თბილი რეგიონებია, მცენარეების ზრდის ხანგრძლივი სეზონით, რაც საშუალებას იძლევა ბაღბოსტნიდან თითქმის მთელი წელი ჰქონდეთ ხილ-ბოსტნეული და არ სჭირდებოდეთ ტყეში საკვები მცენარეების შეგროვება.




ნახ. 3. მხარეების nMDS ორდინაცია ბაღ-ბოსტნის საკვები მცენარეების სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით.

მხარეებისა და ზღვის დონიდან სიმაღლის ზონების შედარება ბაღ-ბოსტანში მოყვანილ მცენარეთა ოჯახების, გვარების, გამოყენებული ნაწილის, რეპროდუქტიული ციკლის ფაზების მიხედვით აჩვენებს (ცხრილი 4 და დანართის ცხრილები 3-8), რომ მხარეები მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან გამოყენებული მცენარეების სიმდიდრის მიხედვით (ნახ. 4). ეს სხვაობები შეიძლება ასახავდეს დიდი ბაზრებისგან დაცილებას, ან სხვაობებს ადგილობრივ ჰავაში. მხარეებს შორის სხვაობები ბევრად უფრო მკაფიოდ ჩანს ველური მცენარეების შემთხვევაში (ნახ. 5). მეზობელი მხარეები ერთად ჯგუფდებიან (ქვემო, ზემო რაჭა და ზემო იმერეთი; სამეგრელო, გურია, აჭარა, ლეჩხუმი და ქვემო, ზემო სვანეთი; მესხეთი, ჯავახეთი, ქვემო ქართლი; მთიანეთი, კახეთი, ხევსურეთი, თუშეთი). ისევე, როგორც ბაღ-ბოსტნის მცენარეებში, სახეობრივი მრავალფეროვნება დიდად ცვალებადობდა მხარეებს შორის (ნახ. 6), რომელშიც როლს ჰავა და ტყეში მცენარეების შეგროვების საჭიროება (განსაკუთრებით, მაღალმთის მივარდნილ სოფლებში) უნდა თამაშობდეს. როგორც უკვე სხვადასხვა სტატიაში ვაჩვენეთ, რესპონდენტების ენა, კულტურული ჯგუფი, ეთნიკური კუთვნილება, განათლება და სქესი არ მოქმედებდა საკვები მცენარეების გამოყენების ძირითად გზებზე, არც


რაიმე სხვა სახის გამოყენებაზე (Batsatsashvili *et al.* 2020a,b; Bussmann 2017; Bussmann *et al.* 2016a,b,c, 2017a,b,c, 2018, 2020a,b,c,d).

ცხრილი 4. სხვადასხვა გაანალიზებული ცვლადის (მცენარეთა ოჯახი, მცენარეთა გვარი, გამოყენებული სისტემა, საერთო გამოყენებული ნაწილი, კერძო გამოყენებული ნაწილი, გამოყენების წესი) ზღვის დონის სიმაღლეზე დამოკიდებულების წყვილ-წყვილად შედარება ყალბი აღმოჩენის პროპორციის (FDR) p-სიდიდის მორგების მეთოდით პერმუტაციული მრავალცვლადიანი ვარიანსას ანალიზის (ცხრილი PERMANOVA) შემდეგ. საანალიზოდ გამოყენებული იქნა ეკვიდენს მანძილები და 999 პერმუტაცია.


მცენარეთა ოჯახი				
	0-500	1001-1500	1501-2000	2001-2500
1001-1500	0.0013			
1501-2000	0.0013	0.0013		
2001-2500	0.0013	0.0013	0.0013	
501-1000	0.0490	0.0044	0.0013	0.0013
მცენარის გვარი				
	0-500	1001-1500	1501-2000	2001-2500
1001-1500	0.0011			
1501-2000	0.0011	0.0011		
2001-2500	0.0011	0.0011	0.0011	
501-1000	0.0180	0.0011	0.0011	0.0011
მცენარის გამოყენებული სისტემა				
	0-500	1001-1500	1501-2000	2001-2500
1001-1500	0.0300			
1501-2000	0.3550	0.0300		
2001-2500	0.4144	0.0300	0.3550	
501-1000	0.0420	0.6270	0.0833	0.0300
მცენარის საერთო გამოყენებული ნაწილი				
	0-500	1001-1500	1501-2000	2001-2500
1001-1500	0.0017			
1501-2000	0.0722	0.0017		
2001-2500	0.0017	0.0017	0.0017	
501-1000	0.0271	0.6840	0.0288	0.0017
მცენარის კერძო გამოყენებული ნაწილი				
	0-500	1001-1500	1501-2000	2001-2500
1001-1500	0.0017			
1501-2000	0.0025	0.0017		
2001-2500	0.0017	0.0017	0.0017	
501-1000	0.0222	0.6670	0.0025	0.0017
გამოყენება				
	0-500	1001-1500	1501-2000	2001-2500
1001-1500	0.0133			
1501-2000	0.0050	0.0957		
2001-2500	0.0050	0.0840	0.3020	
501-1000	0.0450	0.2833	0.0917	0.1750



ნახ. 4. ბალ-ბოსტნის საკვებ მცენარეთა სახეობრივი სიმდიდრის რარეფაქცია მხარეებში.



ნახ. 5. მხარეების nMDS ორდინაცია ტყის საკვები მცენარეების სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით.



ნახ. 6. ტყის საკვებ მცენარეთა სახეობრივი სიმდიდრის რარეფაქცია მხარეებში.


ფხალი და მწნილი -- კავკასიის ემბლემატური საკვები

მცენარეული კერძებიდან კავკასიისთვის ყველაზე ემბლემატური ალბათ არის ფხალი (უმთავრესად, გაზაფხულის ფხალი, როგორც ვიტამინის წყარო) და მწნილი (დამჟავებელი ან მძარში დაკონსერვებული იმდენად, რამდენადაც ჩანაწერების 50%-ში ნახსენებია ფხალი, 12%-ში -- მწნილი და 8%-ში კი ჩაი).

თუმცა ოჯახების და გვარების განაწილება მცენარეთა გამოყენებაში მსგავსი იყო მხარეებს შორის, მაინც ყველაზე მეტ სახეობას გურიაში იყენებდნენ. მაგრამ, ცოდნის განაწილება საკვები კატეგორიების მიხედვით არ იყო თანაბარი (ნახ. 7). მცენარეებისა და მათი გამოყენების მრავალფეროვნება აშკარად ჭარბობდა 1001-1500 მ სიმაღლის ზონაში, მას მოჰყვებოდა 1501-2000 მ ზონა (ნახ. 8). ეს მეტად არათანაბარი განაწილება ცხადად ჩანს სხვაობებში ოჯახებსა და გვარებს შორის (ნახ. 9). თუმცა, ეს სიმაღლებრივი სხვაობები არ ნიშნავს, რომ დაბლობში ეს მცენარეები არ ხარობს. უბრალოდ, დაბლობის მაცხოვრებლები სხვა მცენარეულ საკვებს ამჯობინებდნენ და არ სჭირდებოდათ ტყეში საკვები მცენარეების შეგროვება.

მხოლოდ მონაწილეთა 60%-მა ახსენა მწნილისა და მჟავულის მომზადება. ამათგან, 16%-ზე მეტმა ზემო იმერეთსა და ხევსურეთში და 12%-მა ზემო სვანეთში, ჯავახეთსა და გურიაში. გურიის გარდა ყველა ეს მხარე შედარებით მაღლა მდებარეობს და გრძელი ზამთარი ახასიათებთ. გურიაშიც, მიუხედავად სითბოსა და ტენიანობისა, ზამთარი უხვთოვლიანია, რითაც ალბათ აიხსნება აქაურების ინტერესი მწნილის მიმართ. არც ერთ რესპონდენტს არ უხსენებია დამწნილება აჭარიდან, სამეგრელოდან და მთიანეთიდან (თბილისის ახლოს). არაა მოულოდნელი, რომ კახელებიც არ იჩენდნენ დიდ ინტერესს მწნილეულის მიმართ, რამდენადაც კახეთის მხარე მოსავლიანი სოფლის მეურნეობითაა ცნობილი. ამის საწინააღმდეგოდ, თორსა და თუშეთში უბრალოდ ცოტა ხარობს დასამწნილებელი მცენარეები. ყველაზე ხშირად ამწნილებდნენ ჯიჯლაყასებრებს (ჯიჯლაყას, ნაცარქათამას, სულ 79 ჩანაწერი), ქოლგოსნებს (განსაკუთრებით ჭყიმის, ღიმის და დიყის ღეროებს, ასევე კონიოს (*Conium maculatum*) ღეროებს, ამარილისებრებს (ხახვის გვარის ყველა წარმომადგენელს) და მატიტელასებრებს (მატიტელა და მჟაუნა). ამას გარდა, ამწნილებდნენ მეკენძალას *Aruncus vulgaris* (ვარდისებრი), ჯონჯოლს *Stapyllea colchica* (ჯონჯოლისებრი). ეს მწნილეული უფრო მნიშვნელოვანი იყო,

ვიდრე ტიპური “ევროპული” მწნილები (კიტრის, წიწაკის და სხვ.). გვიმრების *Mattheucia struthiopteris* (Onocleaceae) და *Dryopteris filix-mas* (Dryopteridaceae) მწნილს კი სხვაგანაც, მაგალითად ჰიმალაებში, შეხვდებით.




ნახ. 7. ოჯახებს, გვარებსა და მათ გამოყენებას შორის კავშირები სხვადასხვა მხარეში.

რესპონდენტები ცხადად უთითებდნენ, რომ ზოგი მცენარე (მაგ., კონიო, გვიმრა *Dryopteris filix-mas*, თეთრყვავილა, ნარგიზი) საჭიროებდნენ ფრთხილ მომზადებას, შესაძლო შხამიანობს გამო. და რადგან ამ მცენარეების ტოქსიკურობა შეიძლება უფრო მაღალია სხვაგან, მაგალითად, ცენტრალური ევროპაში, ამიტომ აღარ დაგვიზუსტებია მომზადე ბის მეთოდები, რადგან მოცემულმა მეთოდმა შეიძლება არ დაგვიცვას მცენარის შხამისგან კავკასიის გარეთ.

რაც შეეხება ფხალს, ამ კერძს მონარშული ბალახოვანი მცენარეებისგან მონაწილეთა 93%-ზე მეტუ ამზადებდა მეტი საქართველოს ყველა მხარეში, ჩვეულებრივ, გაზაფხულზე. ეს საკვირველია, რადგან ამას უმთავრესად ხელსაყრელი ჰავის მქონე მხარეებში ველოდით. და მაინც, მთიანი მხარეები გრძელი ზამთრით, როგორცაა ზემო იმერეთი (ფხალზე ჩანაწერების 19%), თორი და ქვემო რაჭა (ორივეგან, 16-16%), თუშეთი (15%) და ხევსურეთი (14%) -- “ბალახოვანი დიეტით” გამოირჩეოდნენ. სამწინლე სახეობებისგან განსხვავებით, ფხალში მხოლოდ ნორჩი ფოთლები გამოიყენება და მწნილად გამოყენებული ყველა სახეობისგან ფხალიც მზადდება, თუმცა, ფხალში ცალკე თუ შენარევის სახით გაცილებით მეტი სახეობა (197) მონაწილეობს. ფხლის მომზადება ხშირად მრავალსაფეხურიანი პროცესია, რაც ამცირებს გამოყენებული სახეობების შხამიანობას და ჩვეულებრივ, ასეთ ფხალში ბევრნაირ ბალახოვან მცენარეს ურევენ. საინტერესო მაგალითებია კარტოფილის

Solanum tuberosum, შხამას *Veratrum lobelianum* და იის *Viola* sp. ფოთლების გამოყენება. მაგალითად, კარტოფილის ფოთოლი იჭმება კავკასიასა და ალბანეთში, მაშინ როცა დანარჩენ მსოფლიოში ის შხამიანობითაა ცნობილი (Bussmann et al. 2016a). ევროპაში ხარობს ძალიან შხამიანი თეთრი შხამა *Veratrum album* (*Veratrum lobelianum*-ის ახლო ნათესავი), ხოლო ია შხამიან საკონინებს შეიცავს (თუმცა მისი ყვავილები ფართოდ გამოიყენება კულინარიაში). ამგვარი მცენარეების გამოყენებისას ფხალს განსაკუთრებით ფრთხილად ამზადებენ, რომ საკვებად ვარგისი იყოს. ავტორებმა ღიად გადაწყვიტეს, ასეთი ფხლების რეცეპტების არ გამოქვეყნება, რადგან ეს მცენარეები ფართოდაა გავრცელებული და მათი ქიმიური შემადგენლობა, მათ შორის შხამების შემცველობა, გავრცელების სხვადასხვა ზონაში ცვალებადობს. ამიტომ, კავკასიაში შემუშავებული მეთოდი შეიძლება არ გამოდგეს სხვაგან.




ნახ. 8. ოჯახებს, გვარებსა და მათ გამოყენებას შორის კავშირები ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე.

დისკუსია

საქართველოში მცენარეების მრავალნაირი გამოყენება გარკვეულად ემთხვევა სხვა კვლევებში დახატულ სურათს. მაგრამ, ამ საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე საკვებად გამოყენებული სახეობების რიცხვი, როგორც კულტივირებულის, ისე ბუნებაში შეგროვილის, ბევრად მეტია, ვიდრე უფრო ფართოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთის ან მთლიანად ევრაზიაში ჩატარებული კვლევებშია აღწერილი. ყველა აღრიცხული სახეობიდან 388 ველური იყო/ტყეში გროვდებოდა, თუმცა რამდენიმე მათგანი სარევის სახით ბაღოსტანშიც იპოვებოდა. სოკოების (95 სახეობა) გამორიცხვის შემდეგაც კი დარჩენილი 293 ჭურჭლოვანი მცენარის

სახეობების რიცხვი მაინც ბევრად მეტია ვიდრე აღწერილია საქართველოს გარეთ სხვა შრომებშია აღწერილი (Alarcón *et al.* 2015:148 სახეობა; Dogan *et al.* 2015:87 სახეობა; Dogan & Nedelcheva 2015:41 სახეობა; Ferrier *et al.* 2015:40 სახეობა; Guarrera & Sato 2015:276 სახეობა; Licata *et al.* 2016:119 სახეობა; Łuczaj & Dolina 2015:84 სახეობა; Łuczaj *et al.* 2015:68 სახეობა; Łuczaj *et al.* 2012:30-100 სახეობა ევროპის სხვადასხვა რეგიონისთვის; Łuczaj & Szymański 2007:112 სახეობა; Menendez-Baceta *et al.* 2015:139 სახეობა; Menendez-Baceta *et al.* 2012:49 სახეობა; Molina *et al.* 2014:15 სახეობა (თუმცა ეს კვლევა მხოლოდ სარევეებს სწავლობდა); Mükmere *et al.* 2014:78 სახეობა; Pardo de Santayana *et al.* 2014:419 სახეობა მთელი ესპანეთისთვის; Pieroni *et al.* 2014:36; Pieroni *et al.* 2015:77 სახეობა; Söukand & Pieroni 2016:40 სახეობა; Stryamets *et al.* 2015:11 სახეობა; Manduzai *et al.* 2021:48 სახეობა; Mattalia *et al.* 2021:83 სახეობა; Mattalia *et al.* 2020a:105 სახეობა; Mattalia *et al.* 2020b:73 სახეობა; Mattalia *et al.* 2020c:47 სახეობა; Mustafa *et al.* 2020:115 სახეობა; Nedelcheva *et al.* 2017:67 სახეობა; Pawera *et al.* 2017:78 სახეობა; Pieroni *et al.* 2018:79 სახეობა; Pieroni & Söukand 2017a:35 სახეობა; Pieroni 2017:52 სახეობა; Pieroni & Söukand 2017b:63 სახეობა; Rigat *et al.* 2016:80 სახეობა; Söukand *et al.* 2017:88 სახეობა; Stryamets *et al.* 2021:51 სახეობა).



ნახ. 9. ოჯახებისა და გვარების ხსენების აბსოლუტური რაოდენობა მხარეებისა და ზღვის დონიდან სიმაღლის მხედვით.

საინტერესოა, რომ მესაქონლე კულტურებშიც კი, რომლებიც ცნობილი არიან მცენარეთა შეგროვებით -- მაგალითად, ახლომდებარე ქურთისტანსა (Pieroni *et al.* 2018:54 სახეობა; Pieroni *et al.* 2019:65 სახეობა) და

თურქეთში (Yeşil *et al.* 2019), მცენარეებს საკვებად გაცილებით უფრო შეზღუდულად იყენებენ, საქართველოსთან შედარებით მაშინაც კი, თუ გამოყენებული სახეობებიდან სოკოებს გამოვრიცხავთ, რაც საერთო სიის 20%-ს შეადგენს. საქართველოს მეზობლებშიც, მაგალითად დაღესტანში (Kaliszewska & Kołodziejska-Degórska 2015) ჩაწერილია სულ 24 სახეობა, აზერბაიჯანში (Söukand & Pieroni 2019:72 სახეობა; Pieroni & Söukand 2019:73 სახეობა) და სომხეთში (Pieroni *et al.* 2021) კი 66, რაც ველური მცენარეების საკვებად გამოყენების ძლიერ შემცირებას აჩვენებს, თუმცა სომხეთის დედაქალაქ ერევანის ბაზრებში ჯერ კიდევ ვხვდავთ საკვები მცენარეების მკაფიო კვალი (Nanagulyan *et al.* 2020), სადაც 148 სახეობა აღირიცხა.

კავკასიის რეგიონის გარეთ, მაგალითად, ჩინეთში ნაჩვენებია, რომ ტიპურ მიწათმოქმედთა სოფლებში ძალიან ბევრ ველურ მცენარეს იყენებენ (Kang *et al.* 2013: 185 ჭურჭლოვანი მცენარის სახეობა და 17 სოკოს ხალხური ტაქსონი; Luo *et al.* 2019: 224 სახეობა; Ju *et al.* 2013: 168 სახეობა). მაგრამ, უმეტეს შემთხვევებში, ველურ მცენარეთა გამოყენება ბევრად ჩამოუვარდება კავკასიას: მაგალითად, (Kang *et al.* 2014: 81 სახეობა; Li *et al.* 2015: 59 სახეობა; Kang *et al.* 2016: 54 ჭურჭლოვანი მცენარისა და 22 სოკოს სახეობა).

საკვები მცენარეების გამოყენება არ იყო მჭიდრო კავშირში საქართველოს მცენარულ ზონებთან. ეს დამახასიათებელია საკვები მცენარეებისთვის და, როგორც ეს უკვე ნაჩვენებია (Pieroni *et al.* 2020; Batsatsashvili *et al.* 2020a,b; Bussmann 2017; Bussmann *et al.* 2016a,b,c, 2017a,b,c, 2018, 2020a,b,c,d), განსხვავებს მათ გამოყენების სხვა კატეგორიათა მცენარეებისგან.

გამოყენებული მცენარეების მეტი რაოდენობა საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით ეთანხმება ჩვენს ჰიპოთეზას, რომ, ხანგრძლივი ტრადიციებისა და საბჭოთა პერიოდის იზოლაციის შედეგად, როგორც ბალ-ბოსტნის, ისე ველური მცენარეების საკვებად მოხმარება უფრო გამოხატული იქნებოდა საქართველოში, ვიდრე მის ფარგლებს გარეთ. ამასთან, ველური საკვები მცენარეების, როგორცაა მწვანილეული, დიდი მრავალფეროვნება საქართველოში გარკვეულად ნეოლითური რევოლუციის გამოძახილი შეიძლება იყოს, რადგან ეს ქვეყანა მართლაც მიწათმოქმედების ერთ-ერთი აკვანია, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა (Javakhishvili 1987; Adler & Bar-Oz 2009; Melikishvili 1970).

ჩვენ ასევე ვნახეთ საკვები მცენარეების განსაკუთრებით ფართო გამოყენება მთელს საქართველოში, რაც ნაწილობრივ აიხსნება მოსახლეობის შერევიტ საბჭოთა პერიოდის მიგრაციებით, და ეს ეთანხმება ჩვენს ჰიპოთეზას, რომ საკვები მცენარეების ცოდნა ფართოდ და თანაბრად იქნებოდა გავრცელებული საქართველოში.

და ბოლოს, ჩვენ მართლაც ვნახეთ, რომ ყველაზე ნაყოფიერ სამიწათმოქმედო მხარეებში, როგორცაა კახეთი აღმოსავლეთ, ხოლო ქვემო აჭარა და სამეგრელო დასავლეთ საქართველოში, მცენარეების გამოყენების ცოდნა მართლაც უფრო შეზღუდულია. მაგრამ ეს ვერ ადასტურებს ცალსახად ჩვენს მესამე ჰიპოთეზას, რომ ასეთ რეგიონებში ადგილი აქვს მცენარეების ცოდნის კარგვას, რადგან მცენარეების შეზღუდული გამოყენება შეიძლება უკვე მრავალი საუკუნეა გრძელდება და ჩვენ კი ამ შესაძლებლობის შემოწმებისთვის საჭირო შედარებით ისტორიულ მონაცემებზე ხელი არ მიგვიწვდება.

დასკვნები

ეს შრომა აღწერს მცენარისა და სოკოს 535 სახეობის საკვებად გამოყენებას საქართველოში. ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს მთებში, საქართველოს კავკასიონის სოფლებიც იცლება მოსახლეობისგან მძიმე ეკონომიური პირობებისა და ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო (Bussmann *et al.* 2014; Akhalkatsi *et al.* 2007, 2008, 2010; Nakhutsrishvili *et al.* 2009). ამას მოაქვს არა მარტო მიწათმოქმედების ტრადიციული პრაქტიკის დაჩქარებული კარგვა, არამედ ამცირებს საკვები მცენარეების ტყეში შეგროვებასა და ბალ-ბოსტანში მოყვანას. ცხადია, რომ საქართველოში საკარმიდამო ბალ-ბოსტნები ტრადიციულია და ამით უპირველესად ემსახურება სოციო-ეკოლოგიურ მეხსიერების ხანგრძლივობას, რაც ქართული კულტურის შეუცვლელი ნაწილია, მაგრამ ამას არ აქვს კავშირი ევროპაში გარეული მცენარეების შეგროვებისა და ბალ-ბოსტნების პოპულარობის დღევანდელ ზრდასთან (Schunko *et al.* 2015). საკვები მცენარეების დიდი მრავალფეროვნება საქართველოს კავკასიაში ემსახურება რეგიონის სასურსათო უსაფრთხოებასა და არის გერმპლაზმის მნიშვნელოვანი წყარო საერთაშორისო მიწათმოქმედებისთვის. ეს მკაფიოდ უსვამს ხაზს საქართველოს, როგორც მცენარეთა

გაკულტურებისა და დივერსიფიკაციის ერთ-ერთი უძველესი ცენტრის მნიშვნელობას, რითაც საქართველო ცხადად წარმოგვიდგება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი საკვები მცენარეების კულტურა მთელს ევრაზიაში და ცენტრი, როგორც ამას შეიძლება ვუწოდოთ, “კავკასია-მცირე აზია-ბალკანეთის კულტურული კომპლექსისა”.

სამადლობელი: ავტორები მადლობას უხდებიან ყველა რესპონდენტს მათი გულუხვი და მეგობრული მასპინძლობისთვის. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი შემდგომი შრომა ხელს შეუწყობს ამ მხარეების მოსახლეთა საჭიროებებისა და მისწრაფებების უკეთ დაკმაყოფილებას.

ეთიკური განაცხადი: გამოკითხვის დაწყებამდე, ყოველი მონაწილისგან ვიღებდით ვერბალურ ინფორმირებულ თანხმობას, რაც აღარ საჭიროებდა ეთიკის დამატებით დაცვას.

გამოქვეყნების ნებართვა: ეს ხელნაწერი არ შეიცავს რომელიმე კერძო პირის მონაცემებს და არ საჭიროებს გამოქვეყნების ნებართვას.

მონაცემების და მასალების წვდომა: ანონიმიზირებული პირველადი მონაცემები ატვირთულია ღია მეცნიერების ქსელში (Open Science Network: https://osf.io/9kdtw/?view_only=93a8748c003f4770bc4a2bb332647429)

დაფინანსება: კვლევა დაფინანსდა ‘გადავარჩინოთ ცოდნა’-ს (Saving Knowledge) ფონდიდან. თავად დამფინანსებელს არ აქვს რაიმე პირდაპირი როლი კვლევის დაგეგმვაში, მონაცემთა მოკრებასა და ანალიზში, ან შედეგების გამოყენებაში.

ავტორთა: რვბ, ნიპს, ზკ, შს, დქ, დჭ, მხ და ქბ: კვლევის დაგეგმვა; რვბ, ნიპს, ზკ, შს, დქ, მხ და ქბ: სავსე კვლევა; ზკ და იურ: სტატისტიკური ანალიზი; რვბ, ნიპს და ზკ: მონაცემთა ანალიზი და ხელნაწერის მომზადება; ყველა ავტორმა წაიკითხა, შეასწორა და მიიღო ხელნაწერის საბოლოო ტექსტი.

ინტერესთა კონკურენცია: ავტორები აცხადებენ, რომ მათ არ აქვთ კონკურენტული ინტერესები

ლიტერატურა

- Adler DS, Bar-Oz G. 2009. Seasonal patterns of prey acquisition during the Middle and Upper Paleolithic of the southern Caucasus. In: Hublin JJ, Richards M., editors. The evolution of hominid diets: Integrating approaches to the study of Palaeolithic subsistence. Leipzig: Springer; p. 127-140.
- Akhalkatsi M, Ekhvaia J, Asanidze Z. 2021. Diversity and Genetic Erosion of Ancient Crops and Wild Relatives of Agricultural Cultivars for Food: Implications for Nature Conservation in Georgia (Caucasus). In: Tiefenbacher J. (ed) Perspectives on Nature Conservation - Patterns, pressures and prospects. InTech: Croatia; p. 51-92.
- Akhalkatsi M, Ekhvaia J, Mosulishvili M, Nakhutsrishvili G, Abdaladze O, Batsatsashvili K. 2010. Reasons and processes leading to the erosion of crop genetic diversity in mountainous regions of Georgia. Mountain Research and Development 30(3):304-310.
- Akhalkatsi M, Fritsch RM, Maisaiac I, Nakhutsrishvilia G, Pistrick K. 2007. Habitats of *Allium* species in Georgia. In: Keusgen M, Fritsch RM. (eds). Proceedings of the first Kazbegi workshop on „Botany, taxonomy and phytochemistry of wild *Allium* L. species of the Caucasus and Central Asia,” June 4-8; p. 45-52
- Akhalkatsi M, Girgvliani T. 2016. Landraces and wild species of the *Secale* genus in Georgia (Caucasus ecoregion). Agricultural Research and Technology 1(4).
- Akhalkatsi M, Kimeridze M, Maisaia I, Mosulishvili M. 2005. Flawless Profits. Caucasus Environment 4(13):34-37.
- Akhalkatsi M, Mosulishvili M, Kimeridze M, Maisaia I. 2008. Conservation and sustainable utilization of rare medicinal plants in Samtskhe-Javakheti. Tbilisi; p. 1-200.
- Akhalkatsi M, Tarkhnishvili D. 2021. Habitats of Georgia, Tbilisi; p. 1-118.

- Akhalkatsi M. 2009. Conservation and sustainable use of crop wild relatives in Samtskhe-Javakheti, Final Report GSNE Orchis: Tbilisi; p. 1-154.
- Alarcón R, Pardo-de-Santayana M, Priestley C, Morales R, Heinrich M. 2015. Medicinal and local food plants in the south of Alava (Basque Country, Spain). *Journal of Ethnopharmacology* 176:207-224.
- Alcorn JB. 1992. Indigenous agroforestry systems in the Latin American tropics. In: Altieri MA, Hecht SB., editors. *Agroecology and small farm development*. CRC Press: Boston; p. 203-218.
- Angiosperm Phylogeny Group. 2009. An update of the Angiosperm Phylogeny Group classification for the orders and families of flowering plants: APG III. *Botanical Journal of the Linnean Society* 161(1):105-121.
- Asanidze Z, Akhalkatsi M, Gvritshvili M. 2011. Comparative morphometric study and relationships between the Caucasian species of wild pear (*Pyrus* spp.) and local cultivars in Georgia. *Flora*. 206:974-986.
- Badr A, Müller K, Schäfer-Pregl R, El Rabey H, Effen S, Ibrahim HH, Pozzi C, Rohde W, Salamini F. 2000. On the origin and domestication history of barley (*Hordeum vulgare*). *Molecular Biology and Evolution* 17(4):499-510.
- Batsatsashvili K, Kikvidze Z, Bussmann RW (eds). 2020a *Ethnobotany of Mountain Regions - Far Eastern Europe*. Cham: Springer International Publishing.
- Batsatsashvili K, Kikvidze Z, Bussmann RW (eds). 2020b. *Ethnobotany of Mountain Regions - Central Asia and Altai*. Cham: Springer International Publishing.
- Bedoshvili D. 2008. National report on the state of plant genetic resources for food and agriculture in Georgia. Ministry of Agriculture: Tbilisi. http://www.pgfa.org/gpa/geo/Georgian_report_on_State_of_PGR_Sep_29,_2008.pdf.
- Bussmann RW (ed). 2017. *Ethnobotany of the Caucasus*. Cham: Springer International Publishing.
- Bussmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Darchidze M, Manvelidze Z, Ekhvaia J, Kikodze D, Tchelidze D, Khutsishvili M, Batsatsashvili K, Hart RE. 2020c. From the sea to the mountains - plant use in Ajara, Samegrelo and Kvemo Svaneti, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Ethnobotany Research and Application* 20(9) doi: 10.32859/era.20.9.1-34
- Bussmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Khutsishvili M, Batsatsashvili K., Hart RE. 2020d. An ethnobotany of Kakheti and Kvemo Kartli, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Ethnobotany Research and Application* 19(35) doi: 10.32859/era.19.47.1-28
- Bussmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2018. Unequal brothers - Plant and fungal use in Guria and Racha, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Indian Journal of Traditional Knowledge* 17(1), 7-33.
- Bussmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2017a. Plant and fungal use in Tusheti, Khevsureti and Pshavi, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Acta Societatis Botanicorum Poloniae* 86(2):3517. doi: 10.5586/asbp.3517.
- Bussmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2017b. Plants in the spa - the medicinal plant market of Borjomi, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Indian Journal of Traditional Knowledge* 16(1):25-34.
- Bussmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2017c. Ethnobotany of Samtskhe-Javakheti, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Indian Journal of Traditional Knowledge* 16(1):7-24.
- Bussmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE, Pieroni A. 2016a. Your poison in my pie - the use of Potato (*Solanum tuberosum* L.) leaves in Sakartvelo, Georgia (Caucasus) and Gollobordo, Eastern Albania. *Economic Botany* 70(4):431-437.
- Bussmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2016b. A comparative ethnobotany of Khevsureti, Samtskhe-Javakheti, Tusheti, Svaneti, and Racha-Lechkhumi, Republic of Georgia (Sakartvelo), Caucasus. *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine* 12:43, doi: 10.1186/s13002-016-0110-2.

- Bussmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2016c. Medicinal and food plants of Svaneti and Lechkhumi, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Medicinal and Aromatic Plants* 5:266. doi: 10.4172/2167-0412.1000266.
- Bussmann RW, Paniagua-Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Jinjikhadze T, Shanshiashvili T, Chelidze D, Batsatsashvili K, Bakanidze N. 2014. Wine, Beer, Snuff, Medicine and loss of diversity - Ethnobotanical travels in the Georgian Caucasus. *Ethnobotany Research and Application* 12:237-313.
- Castañeda-Álvarez NP, Khoury CK, Achicanoy HA, Bernau V, Dempewolf H, Eastwood RJ, Guarino L, Harker RH, Jarvis A, Maxted N, Müller JV, Ramirez-Villegas J, Sosa CC, Struik PC, Vincent H, Toll J. 2016. Global conservation priorities for crop wild relatives, *Nature Plants* doi: 10.1038/NPLANTS.2016.22.
- Colunga-García MP, Zizumbo-Villarreal D. 2004. Domestication of plants in Maya lowlands. *Economic Botany* 58(Supplement):101-110.
- Coomes OT, Ban N. 2004. Cultivated plant species diversity in home gardens of an Amazonian peasant village in northeastern Peru. *Economic Botany* 58:420-434.
- Das T, Kumar Das A. 2015. Conservation of Plant Diversity in Rural Homegardens with Cultural and Geographical Variation in Three Districts of Barak Valley, Northeast India. *Economic Botany* 69(1):57-71.
- Dekaprelevis L, Menabde V. Kizucheni polevykh kultur zapadnoi Gruzii. I. Racha. (Study of cereal cultivars in Georgia. I. Racha). 1929. *Scientific Papers of the Applied Sections of the Tbilisi Botanical Garden* 6(2):219-252. (In Russian).
- Dogan Y, Nedelcheva A, Łuczaj Ł, Drăgulescu C, Stefkov G, Maglajlić A, Ferrier J, Papp N, Hajdari A, Mustafa B, Dajić-Stevanović Z, Pieroni A. 2015. Of the importance of a leaf: the ethnobotany of *sarma* in Turkey and the Balkans. *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine* 11:26. doi:10.1186/s13002-015-0002-x.
- Dogan Y, Nedelcheva A. 2015. Wild plants from open markets on both sides of the Bulgarian-Turkish border. *Indian Journal of Traditional Knowledge* 14(3):351-358.
- Ekhvaia J, Akhalkatsi M. 2010. Morphological variation and relationships of Georgian populations of *Vitis vinifera* L. subsp. *sylvestris* (C.C. Gmel.) Hegi. *Flora*. 205:608-617.
- Eyzaguirre PB, Linares OF (eds). 2004. *Home Gardens and Agrobiodiversity*. Smithsonian Books: Washington DC.
- Ferrier J, Saciragic L, Trakić S, Chen ECH, Gendron RL, Cuerrier A, Balick MJ, Redžić S, Alikadić E, Arnason JT. 2015. An ethnobotany of the Lukomir Highlanders of Bosnia & Herzegovina, *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine* 11:81. doi 10.1186/s13002-015-0068-5.
- Finlayson C. 2005. Biogeography and evolution of the genus *Homo*. *Trends in Ecology and Evolution* 20(8):457-463.
- Flora of Georgia Committee. 1941-1952. Vol.1-8. Metsniereba: Tbilisi. („საქართველოს ფლორა“, ტ. I-VIII. 1941-1952).
- Flora of Georgia Committee. 1971-2011. Vol.1-16. Metsniereba: Tbilisi. („საქართველოს ფლორა“, ტ. I-XVI. 1971-2011).
- Gabunia L, Vekua A, Swisher CC, Ferring R, Justus A, Nioradze M, Ponce de Leon M, Tappen M, Tvalchrelidze M, Zollikofer C. 2000. Earliest Pleistocene hominid cranial remains from Dmanisi, Republic of Georgia: taxonomy, geological setting, and age. *Science* 288(5578):85-89.
- Gabunia L, Vekua AA. 1995. Plio-Pleistocene hominid from Dmanisi, East Georgia, Caucasus. *Nature* 373(6514):509-512.
- Gagnidze R. 2005. *Vascular Plants of Georgia. A Nomenclatural Checklist*. Metsniereba: Tbilisi. (რ. გაგნიძე. საქართველოს ფლორის ჩეკლისტი: ნომენკლატურული ნუსხა. 2005).
- Guarrera A, Savo V. 2015. Wild food plants used in traditional vegetable mixtures in Italy. *Journal of Ethnopharmacology* 185:202-234.

- Hammer Ø, Harper DAT, Ryan PD. 2001. PAST: Paleontological statistics software package for education and data analysis. *Palaeontologia Electronica* 4(1): 9pp. http://palaeo-electronica.org/2001_1/past/issue1_01.htm
- Hervé, M. 2020. RVAideMemoire: Testing and Plotting Procedures for Biostatistics.
- Javakhishvili I. Sakartvelos ekonomiyuri istoria (Economic History of Georgia).1987. (Ed. 2), Vol.5. Metsniereba: Tbilisi. (In Georgian).
- Ju Y, Zhuo J, Liu B, Long C. 2013. Eating from the wild: diversity of wild edible plants used by Tibetans in Shangri-la region, Yunnan, China. *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine* 9:28. <http://www.ethnobiomed.com/content/9/1/28>
- Kaliszewska I, Kołodziejska-Degórska I, 2015. The social context of wild leafy vegetables uses in Shiri, Daghestan. *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine* 11:63. doi:10.1186/s13002-015-0047-x.
- Kan M, Küçükçongar M, Keser M, Morgounov A, Muminkanv A, Özdemir F, Qualset C. 2015. Wheat landraces in farmer's fields in Turkey. Food and Agricultural Organization of the United Nations: Ankara.
- Kang J, Kang Y, Ji X, Guo Q, Jacques G, Pietras M, Łuczaj N, Li D, Łuczaj Ł. 2016. Wild food plants and fungi used in the mycophilous Tibetan community of Zhagana (Tewo County, Gansu, China). *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine* 12:21. doi: 10.1186/s13002-016-0094-y
